# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებული 1918 წელს.

ოთხშაბათი, 26 მარტი, 2008 წელი.

№ 56 (5914)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


# აქვს კი საქართველოს კონსტიტუცია?!




თუ აქვს, მისივე დებულების საწინააღმდეგოდ როგორ ცვლიან ამ უპირველეს კანონს მავანნი? 4

საყურადღებო წინადადება

## საქართველოში უპირველესად კანონიერებას და სამართლიანობას დავამკვიდრებდი

6

## იმ სამიტზე, სადაც პუტინი ჩადის, საქართველოს მაპ-ს არ მისცემენ

3

## გამოქვეყნდა მსოფლიოში მიმდინარე საომარ ოპერაციებში დახარჯული თანხების რაოდენობა

11



## მოშიმშილეები სასიკვდილო ბეწვის ხიდს გადიან!

3

## ძალიან კარგი სიტყვაა „იმედი“, ძალიან ძლიერი ფრაზაა „იმედიანი საქართველო“

2





## პროდილი ბრუნდება

8



10

## მოსკოვმა საყვედური გაფრთხილებით მიიღო

● **როგორც ხელისუფლების პრესსამსახურებმა, ანუ „რუსთავი 2-მა“ და „მზემ“ გადმოსცეს, მიტინგი ტელეკომპანია „იმედის“ მხარდასაჭერად გაიმართა**



## საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ

**ჰემინგუეის რომანში „აღმოხდების მზე (ფიესტა)“, ერთ-ერთ თავს წინ უძღვის მცირე დიალოგი, რომელიც ასე ჟღერს: „— გიყვარს პარიზი? — არა. — მაშინ რატომ არ მიდიხარ სხვა ადგილას? — არ არსებობს სხვა ადგილი“.**

დღევანდელი საქართველოს ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებზეც დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას. ამ შემთხვევაში დიალოგს ასეთი სახე ექნება: „— გიყვარს „რუსთავი 2“? — არა. — მაშინ რატომ არ გადართავ სხვა არხზე? — არ არსებობს სხვა არხი“.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ ვიტყვი, რომ სახელისუფლებო ცენზურის მიერ განხორციელებული ზეწოლის შედეგად დაიხურა „მე-9 არხი“, ტელეკომპანია „202“ ტერორი და ძალადობა დაატყდა თავს ტელეკომპანია „თრიალეთს“, ტერორისა და ძალადობის შედეგად დაიხურა ტელეკომპანია „იმედი“.

საზოგადოებისთვის გაუგებარი ფინანსური ოპერაციების შემდეგ ტელეკომპანიები „რუსთავი 2“ და „მზე“ სადღაც ცხრა მთას იქეთ დარეგისტრირებული ფირმების საკუთრებაში აღმოჩნდნენ.

არც ბეჭდვითი პრესა განიცდის ზეწოლის „ნაკლებობას“. იმ ფინანსურ „ლაბირინთებს“, რომლებშიც გაზეთების გამომცემლებს უწევთ გაღწევა, დაემატა გამომცემლობა „სამშობლოდან“ მათი გამოყრა. ამ ყველაფერს კი „მარილად“ საააკაშვილის განცხადება — „მე გაზეთებს საერთოდ არ ვკითხულობო“, „მოეყარა“.

მარტივად რომ ვთქვა, ხელისუფლების ამ ქმედებას „საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომი“ ჰქვია.

სხვას ვერაფერს დაარქმევ იმ მდგომარეობას, როდესაც ტელევიზიით „რძის მდინარეებს“ და „კისელის ნაპირებს“ გაჩვენებენ, მაშინ, როცა ბაზარში თუ მაღაზიაში მისულ რიგით მოქალაქეს ყოველ საათში ერთხელ გაზრდილი ფასები ხვდება (ნამდვილად „ასფურცელაა“ ეს ჩვენი „სამოთხმარებლო კალათა“).

ჩვენება ერთია, მაგრამ ცოტა „იაღლიში“ მაინც მოსდით საინფორმაციო გადაცემების დამგეგმავ ხელმძღვანელებს.

ერთ-ერთი ასეთი „იაღლიში“ მოუვიდათ ამერიკაში საააკაშვილის ვიზიტის გაშუქების დროს.

საინფორმაციო საშუალებებში გადმოიცემოდა ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანიისთვის სააკაშვილის მიერ მიცემული ინტერვიუს სრული ვერსია. ამ ინტერვიუში ბატონი მიხეილი წარმოდგენილი იყო როგორც პოსტსაბჭოურ სივრცეში „გამობრწყინებული ერთადერთი დემოკრატიული შუქურა“, რომელმაც მოკლე ხანში შესძლო და საქართველოს მოსახლეობას ცხოვრებისა და განვითარების იდეალური პირობები შეუქმნა. შემდეგ სიუჟეტებში კი აჩვენებდნენ ბაზრობაზე მისულ მოქალაქეებს, რომლებიც ჩიოდნენ ცხოვრების პირობების გაუარესების გამო (ნამდვილად „არაპროფესიონალურად“ გამოუვიდათ საინფორმაციო სამსახურების უფროსებს).

ტელევიზიების მიერ „ბრეჟნევის ეპოქისკენ“ გადადგმული „დიდი ნაბიჯი“ გახდა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ე. წ. „დიალოგის“ გაშუქება. „მუშაობის“ პროცესში „რუსთავი 2-ისა“ და „მზის“ ჟურნალისტებმა თავიანთი „პირუთვნელობით“ იმდენი ქნეს, რომ ოპოზიცია არა მხოლოდ „კონსტრუქციული დიალოგის ჩამშლელებად“, არამედ საქართველოში „აღმშენებლობის დამამუხრუჭებლებად“ გამოიყვანეს.

ასევე ძალიან „ძლიერად“ იმუშავეს ტელევიზიებმა ხალხის ყურადღების სხვა, „უფრო მნიშვნელოვან“ საკითხებზე გადასატანად. ასეთ საკითხებად კი საქართველოს ნატოში ინტეგრაცია და ამ ინტეგრაციის წინააღმდეგ რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განხორციელებული დემარშები გვაჩვენეს. ძალიან ცუდად მოქმედებს ქართველ მაყურებელზე რუსულ თოქ-შოუებში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხების „იმპერიული რაკურსით“ განხილვა, მაგრამ უფრო ცუდად მოქმედებს ამ საკითხებით სპეკულირება. სპეკულირება მაშინ, როდესაც ქვეყანაში ყველანაირი კრიზისია. თანაც ყველამ კარგად იცის, რომ რუსულ თოქ-შოუში გამოსული ბაღაფშისა თუ კოკოითის „აზრები“ აბსოლუტურად არაფერს არ ნიშნავს.

„ტელევიზიონშჩიკური“ ენით რომ ვთქვა, ხელისუფლებამ ოპოზიციასთან ურთიერთობის საკმაოდ „საინტერესო“ ფორმატი შეარჩია. ეს ფორმატი ორი „ბლოკისაგან“ შედგება. პირველ ბლოკში ოპოზიციის მოთხოვნების სრული იგნორირებაა „წარმოდგენილი“, ხოლო მეორე ბლოკში ხდება ოპოზიციის იმ „რაკურსით ჩვენება“, რომელშიც ოპოზიცია „დაჩრდილულია“, ანუ „არატელეგენურად“ გამოიყურება. ბლოკებს შორის კი ხელისუფლების მხარდამჭერი დიდი სარეკლამო „გაჭრების“ ჩვენება მიმდინარეობს.

მთელ ამ „ქიჩმაჩს“ საფუძვლად ერთადერთი მიზანი უდევს. ხელისუფლებას სურს, რომ საქართველოს მოსახლეობა ლებულობდეს მხოლოდ იმ სახის ინფორმაციას, რომლის მოწოდებასაც თავად თვლის საჭიროდ.

საინფორმაციო საშუალებების მიერ საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის ისეთი ფორმით გაშუქებას, როდესაც კრიზისის მიზეზად საკუთარი ღირსებისა და უფლებების დამცველი მოშიმშილე ადამიანები გამოგყავს, სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა თავისუფალი და მართალი სიტყვის სანაგვეზე გადაგდება.

ამ ყველაფრის სათავე კი ის ხელისუფლებაა, რომელიც საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე კი არ ფიქრობს, არამედ იმაზე, თუ როგორ მოაწონოს თავი მეთიუ ბრაიზასა და მათიას იორშს. ამ ყველაფრის სათავე ის ხელისუფლებაა, რომელიც ცდილობს, საკუთარ მოსახლეობას ისე მოექცეს, როგორც არქიფო სეთური ექცეოდა თავის ქვეშევრდომებს. ამ ყველაფრის სათავე ის ხელისუფლებაა, რომელიც ცდილობს, თავის მოქალაქეებს წაართვას არა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება, არამედ ცდილობს წაართვას ადამიანის ყველაზე უმთავრესი ნიჭი — ღირსების გრძნობა.

როგორც ერთ-ერთი ქვეყნის ერთ-ერთი პრეზიდენტი ამბობს ხოლმე „ნურას უკაცრავად!“

ქართველებს ღირსებას ვერავინ ვერ წაართმევს.

ნამდვილად ვერავინ წაართმევს ღირსებას და მომავლის რწმენას ვახტანგ გორგასლის ორდენის სრულ კავალერ ნუგზარ აროშიძეს, რომელიც აფხაზი სეპარატისტების მიერ შერაცხულია „აფხაზი ხალხის მტრად“. მისი თავი შეფასებულია 500000 ამერიკულ დოლარად და მისჯილი აქვს დახვრეტა ძიებისა და სასამართლოს გარეშე.

ნუგზარ აროშიძე გმირია და დღესაც იბრძვის. მაგრამ დღეს იბრძვის იმ ყველაზე ძლიერი იარაღით, რომელიც ოდესმე გამოუყენებია კაცობრიობას — ის მოშიმშილეთა შორისაა.

პარლამენტის თავმჯდომარემ კი ოპოზიციას „კონსტრუქციული დიალოგისკენ“ მოუწოდა.

კარგით რა, ქალბატონო ნინო! თქვენც იცით და ჩვენც ვიცით, რომ არც თქვენ და არც იმ ხალხს, ვინც ასეთი „დიალოგების“ დროს „მხარს გიმშვენებთ“, ჩაის დალევაც არ შეგიძლიათ „ხაზეინის“ (ანუ როგორც ახლაა მიღებული „ბოსის“) უნებართვოდ (იმ თქვენს „ბოსსაც“ არ შეუძლია „ჩაის დალევა“ უფრო დიდი „ბოსების“ უნებართვოდ).

სწორედ „ბოსთან“ კონსულტაციებისთვის გახდა საჭირო ის ერთდღიანი ვადა, რომელიც თქვენ ინტელიგენციასთან შეხვედრის დროს ითხოვეთ („ითხოვეთ“. რა საინტერესო სიტყვაა!). ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ გამახსენდა. სოსოია მამალაძის მამიდა ქეთო მასწავლებელი უკანასკნელ ჭადს გამოუტანს საჭმელის მთხოვნელ გერმანელ ჯარისკაცებს.

პარლამენტის თავმჯდომარეს ხალხმა მისცა ის ერთდღიანი ვადა. ვადა მისცა, მაგრამ არ დაშლილა.

არ დაშლილა მიტინგიდან, რომელიც 24 მარტს პარლამენტის წინ გაიმართა.

როგორც ხელისუფლების პრესსამსახურებმა, ანუ „რუსთავი 2-მა“ და „მზემ“ გადმოსცეს, მიტინგი ტელეკომპანია „იმედის“ მხარდასაჭერად გაიმართა. მართალია, მაგრამ პარლამენტის წინ ხალხი მხოლოდ ტელეკომპანია „იმედის“ დასაბრუნებლად არ შეკრებილა. ისინი იმ იმედის ასახდენად მოვიდნენ, რომელსაც ერთიანი, მშენებარე, ჯანმრთელი, ლამაზი და ღიმილიანი საქართველო ჰქვია.

ძალიან უნდოდა ამ ხელისუფლებას, რომ ხალხს ეს იმედი დაეკარგა, მაგრამ ზემოთ ნახსენები იმ პრეზიდენტისა არ იყოს, „ნურას უკაცრავად!“

ძალიან კარგი სიტყვაა „იმედი“, ძალიან ძლიერი ფრაზაა „იმედიანი საქართველო“.

**ძალიან კარგი სიტყვაა „იმედი“, ძალიან ძლიერი ფრაზაა „იმედიანი საქართველო“**

**გია გაბრიჭიძე**

## შიმშილობის ქრონიკა

# მოშიმშილეები სიკვდილის ზღვარზე დგანან

**პარლამენტის შენობასთან, შიმშილობის მე-17 დღეს, მოშიმშილეთა მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. ამის შესახებ ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ცაგარეიშვილმა განაცხადა.**

მისი თქმით, მძიმე მდგომარეობა აქვთ ზვიად ძიძიგურსა და კობა დავითაშვილს. ისინი ლოგინიდან ადგომას ველარ ახერხებენ, დანარჩენები სუსტად გრძნობენ თავს.



ცაგარეიშვილი თვლის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ადეკვატური რეაქცია არა აქვს იმაზე, რაც საქართველოში ხდება და სიტუაციას ვერ ფლობს.

ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ცაგარეიშვილმა 1921 წელს შეადარა და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის არც მაშინ შეუწუხებია ვინმეს თავი.

* * *

**ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური, რომელიც პარლამენტის წინ უკვე მე-17-ე დღეა შიმშილობდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

* * *

**ახალი მემარჯვენეების ორმა წევრმა დავით უჯმაჯურიძემ და ლაშა ნარჩემაშვილმა, რომლებიც პარლამენტის მისაღებში შიმშილობდნენ, ღამით შიმშილობა შეწყვიტეს.**

როგორც ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, ისინი სახლში გადაიყვანეს და ამის მიზეზი გახდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. კერძოდ კი ნარჩემაშვილს და უჯმაჯურიძეს სისხლში შაქრის დონემ ძალიან დაიწია.

ჩვენ ისინი სახლში გადავიყვანეთ. თავად აცხადებენ, რომ აუცილებლად დაბრუნდებიან პარლამენტის თავმჯდომარის მისაღებში და შიმშილობას გააგრძელებენ, მაგრამ ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, რადგან მათ სიცოცხლეს უკვე საფრთხე ემუქრება, — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

* * *

**ახალი მემარჯვენეების სიღნაღის რეგიონული ორგანიზაციის წევრები, რომლებიც პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გადადგომას ითხოვენ, სიღნაღის რაიონში, ქალაქ წნორში უკვე მეათე დღეა შიმშილობენ.**

თავდაპირველად შიმშილობის აქციას ერთი წევრი გოჩა ხუციშვილი გამოაკლდა, იგი ჯანმრთელობის გაუარესების გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ორი მოშიმშილე კვლავ მძიმე მდგომარეობაშია. გუშინ ღამით მოშიმშილეებთან სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, მათ წვეთოვანი დაუდგეს. თუმცა, შალვა ჭაბაშვილმა და მალხაზ ხუციშვილმა საავადმყოფოში გადაყვანაზე კვლავ უარი განაცხადეს. შეუძლოდ გრძნობს თავს ნოდარ კუტიბაშვილიც.

**ინტერპრესნიუსი**

# დროის ანატომია

● ნატომ ბიძგი მოგვცა, რომ დემოკრატიული პროცესები დაგვეჩქარებინა, ბევრი კარგი რეფორმა გატარდა. მაგრამ დემოკრატია მარტო ნატოსთვის ხომ არ გვინდა? დემოკრატია ჩვენს ინტერესებშიც უნდა იყოს!



თვალსაზრისი

## თორნიკე შარაშენიძე:

# იმ სამიტზე, სადაც პუტინი ჩადის, საქართველოს მაპ-ს არ მისცემენ

***შიდაპოლიტიკური** დაძაბულობის ფონზე, სერიოზული საგარეო პოლიტიკის წარმოება უწევს საქართველოს ხელისუფლებას. აპრილში დაგეგმილ ბუქარესტის სამიტზე, შესაძლოა, საქართველოს ნატოში წევრობის სამოქმედო გეგმა, ანუ მაპ-ი მისცენ. ამისათვის საერთაშორისო მხარდაჭერა და კეთილგანწყობის მოპოვებაა საჭირო. მაპის მიღება-არ მიღებაზე „მკითხაობაა" გაჩაღებული, თუმცა შედეგი რამდენიმე დღეში გაირკვევა. ჩვენი ქვეყნის შანსებზე ლაპარაკობს GIPA-ს (საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი) საერთაშორისო ურთიერთობათა პროგრამის ხელმძღვანელი **თორნიკე შარაშენიძე**.*

**— მიხეილ სააკაშვილისა და ჩვენი მთავრობის მრავალრიცხოვანი დელეგაციის ვაშინგტონში ვიზიტი დამთავრდა...**

— პრეზიდენტი ბუში, ჩვეულებრივ, ასე ხშირად სამიტებს არ მართავს ხოლმე, მაგრამ სააკაშვილის სტუმრობით მსოფლიოს უნდა აგრძნობინოს, რომ საქართველო მისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია. იმ ფონზე, როცა რუსეთთან ასეთი დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, ეს კარგია. რაც შეეხება ბუშის დაჟინებულ განცხადებას საქართველოს ნატოში გაწევრებაზე, გვაიმედებს, რომ ეს პროცესი დაჩქარდება.

**— „საქართველო სასარგებლო იქნება ნატოსთვის და თავადაც მიიღებს სარგებელს", — თქვა ბუშმა. თქვენი აზრით, რა სარგებელზეა ლაპარაკი?**

— საქართველო რომ ნატოსგან სარგებელს მიიღებს, გასაგებია. ნატოც მიიღებს სარგებელს და ეს არის ის, რომ საქართველოს ნატოსთან ინტეგრაცია ბიძგს მისცემს რეგიონს, შეუერთდეს დასავლურ თანამეგობრობას, განსაკუთრებით — კავკასია. სომხეთიც, აზერბაიჯანიც გამოვლენ საბჭოთა მემკვიდრეობიდან და შევლენ ცივილიზებულ სივრცეში. ნატოში ახალი ქვეყნის მიღება ნიშნავს, რომ კიდევ ერთი ადგილი ჩნდება მსოფლიო რუკაზე, სადაც არის სტაბილური და დემოკრატიული გარემო და ეს ყველას ინტერესებშია.

**— ამის მიუხედავად, რუსულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, ბუშმა მხარი დაუჭირა საქართველოს ნატოში შესვლის მისწრაფებას, მაგრამ გარანტია არ მიუციაო.**

— რუსული პრესა ხშირად არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს, რადგან მათ აშინებთ ჩვენი ნატოში ინტეგრაცია. გარანტიას ბუში ვერც მისცემდა იმიტომ, რომ ეს დამოკიდებულია საერთაშორისო კონიუნქტურაზე, ნატოს სხვა წევრი ქვეყნების ნებაზე და თვითონ საქართველოზე.

**— თქვენი აზრით, ნატოში გაწევრების რა შანსები გვაქვს რეალურად და როდის მივიღებთ მაპ-ს?**

— ნატოში დაახლოებით 5 წელიწადში შევალთ, ან უფრო გვიან. მაპ-ის მიღება ბუქარესტის სამიტზე, სადაც პუტინი ჩადის, გამორიცხულია. პუტინის ჩასვლა ნიშნავს, რომ საქართველოს მაპ-ს არ მისცემენ. პუტინს ევროპელ ლიდერებთან კავშირები აქვს და ამაში დარწმუნებულია.

რუსმა პოლიტიკოსებმა აღიარეს, რომ მათ არ აინტერესებთ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ მათ „უფლებებს" იმისთვის იყენებენ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების გამო მაპ-ი არ მისცენ. რუსეთს კავკასიაში სიმშვიდე სჭირდება, მაგრამ ისე, რომ სამხრეთ საზღვართან მდებარე ქვეყანაში თვითონ ჰქონდეს გავლენა, ამერიკის გავლენა საქართველოში მას არ სჭირდება.

**— რუსეთი კოსოვოს პრეცედენტს დაუშვებს?**

— რუსეთმა ბევრი იყვირა, მაგრამ ბოლოს მაინც თავი შეიკავა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებისაგან. ამას არც გააკეთებს იმიტომ, რომ არ სჭირდება მათი დამოუკიდებლობა. რუსეთს უნდა, თვითონ მიიერთოს ეს რეგიონები.

რუსეთმა ბუქარესტის სამიტის წინ ისტერია ატეხა. ეს ისტერია გადაუვლის. ამ სამიტზე მაპ-ს არ მოგვცემენ, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს ერთ ჩვეულებრივ შეხვედრაზე, ელჩების დონეზე, სავარაუდოდ — შემოდგომაზე.

**— მხოლოდ რუსეთის ფაქტორის გამო შეჩერდება ეს პროცესი? საქართველოს შიგნით მიმდინარე პოლიტიკური ვითარება არ იქონიებს გავლენას?**

— რაც ქვეყანაში ხდება, არეული სიტუაციები, ტრაგედია არ არის. მიტინგი, შიმშილობა იმის მაჩვენებელია, რომ დემოკრატიის დონეს მივაღწიეთ. მთავარია, როგორ დამთავრდება. თუ 7 ნოემბერივით დასრულდება, ცუდია, მაგრამ თუ ყველაფერი მორიგებით და დიალოგით გადაწყდა, ეს პოლიტიკური კულტურის გამოვლინებაა.

**— ასე მოვხიბლავთ საერთაშორისო გაერთიანებას?**

— რა თქმა უნდა. უნდა დაჩქარდეს დემოკრატიზაციის პროცესი. საქართველო ბევრს სწავლობს თავის შეცდომებზე. რა შედარებაა იმ პოლიტიკურ კულტურას შორის, რაც 90-იან წლებში გვქონდა და ახლა რაც გვაქვს. ის ფაქტი, რომ ოპოზიციის მიტინგზე უკვე აღარ მიდის 200 ათასი კაცი, იმაზე მეტყველებს, რომ ხალხი მიხვდა, არ უნდა იყოს რომელიმე პარტიის ან ოპოზიციის იმედად. არც იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ მოვა ახალი პრეზიდენტი და ბედნიერად ვიცხოვრებთ.

**— ანუ სამოქალაქო საზოგადოება უნდა გააქტიურდეს, არა?**

— დიახ, პოლიტიკოსების იმედად ყოფნა არავის არგებს, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ნატომ ბიძგი მოგვცა, რომ დემოკრატიული პროცესები დაგვეჩქარებინა, ბევრი კარგი რეფორმა გატარდა. მაგრამ დემოკრატია მარტო ნატოსთვის ხომ არ გვინდა? დემოკრატია ჩვენს ინტერესებშიც უნდა იყოს!

ესაუბრა
**თეა მოსია**



SOS!

# მოშიმშილეები სასიკვდილო ბეწვის ხიდს გადიან!

***მოშიმშილეები**, პატრიარქის მიერ შიმშილობის შეწყვეტის მოწოდების მიუხედავად, შიმშილს არ წყვეტენ. თბილისი კვლავ კარვების ქალაქია. მოშიმშილეებმა კარანტინი გამოაცხადეს, რადგან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. ისინი იმდენად დაუძლურდნენ, რომ ლაპარაკის თავიც აღარ აქვთ. ხელისუფლება ჯერჯერობით არაფერი დაუთმია, რადგან არ ჩქარობს. არადა, ყოველ წუთს შეიძლება უბედურება დატრიალდეს. კარვების გარშემო ბარიკადებია აღმართული და ჟურნალისტებს არ უშვებენ. რამდენჯერმე თხოვნის მიუხედავად, ბარიკადს მიღმა მაინც არ შემიშვეს, ამიტომ სასაუბროდ მოსვლა ერთ-ერთ ექიმს ვთხოვე.*

„მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ისინი მედიკამენტებს კატეგორიულად არ იღებენ. იმ საშუალებების მიღებაზე, რომელიც წნევას და სისხლში შაქრის შემცველობას მოუმატებს, კატეგორიულ წინააღმდეგობას გვიწევენ. ყველა მათგანი კლინიკაში გადაყვანაზე და ნებისმიერ სხვა სამედიცინო ჩარევაზე უარს ამბობს. ასე რომ, ამ ადამიანებმა თავი სასიკვდილოდ გადადეს. მოშიმშილეებისთვის ახლა კრიტიკული მომენტია და საუბედუროდ, ნებისმიერ დროს შეიძლება უბედურება დატრიალდეს", — გვითხრა მედიკოსთა კავშირის თავმჯდომარემ ქეთევან გეჯაძემ.

შიმშილობის მე-17 დღეს გია თორთლაძის, გია ცაგარეიშვილის, ზვიად ძიძიგურის და ლაშის ყველა მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთნაირად მძიმეა. მოშიმშილეები სასიკვდილო ბეწვის ხიდზე გადიან და როდის ჩაწყდება ის, არავინ იცის. მათი ორგანიზმი გამოიფიტა და უკვე აცეტონს გამოყოფს, რაც სიცოცხლესთან შეუთავსებელია.



გუშინ ზვიად ძიძიგური ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„ჩვენ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში წერილი გავაგზავნეთ განგაშით SOS! SOS! SOS! იქ ყველა მონაცემი და მოშიმშილეთა მდგომარეობა იყო აღწერილი. ამ დღეებში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციიდან სტუმრებსაც ველოდებით და იქნებ მათ ხელისუფლებასა და მოშიმშილეებს შორის შუამავლის როლი იკისრონ. იქნებ მათ ხელისუფლების დარწმუნება შეძლონ და ერთადერთი მოთხოვნა დააკმაყოფილებინონ" — აღნიშნა ქეთევან გეჯაძემ.

შიმშილობა 73 ადამიანმა დაიწყო, მაგრამ მათგან 17 უმძიმეს მდგომარეობაში სხვადასხვა დროს სტაციონარში გადაიყვანეს.

პარლამენტში მოშიმშილე მემარჯვენეების ჯანმრთელობის მდგომარეობასაც ექიმები მძიმედ აფასებენ. მათ ფრაქციაში რამდენიმე ექიმი ჰყავთ, ამიტომ ისინი თანაფრაქციელთა ჯანმრთელობას თვითონვე აკონტროლებენ.

„მედიკოსებმა ნინო ბურჯანაძეს წერილით მივმართეთ, რომ იქნებ ნება იბოძოს და შეხვედრაზე დაგვთანხმდეს. ჩვენი მიზანია, რომ მას სამედიცინო თვალით რეალური საფრთხე დავანახოთ, რომელიც მოშიმშილეებს ემუქრება. ეს წერილი შევუგზავნეთ, მაგრამ ჯერჯერობით მისგან პასუხი არ მიგვიღია. მას გავაგებინეთ, რაც ხდება, აუცილებელი არ არის, რომ საზღვარგარეთიდან ჩამოსულებმა მიგვითითონ მოშიმშილეთა უმძიმეს მდგომარეობაზე. ხომ შეიძლება, რომ შენს ხალხს ყური დაუგდო და მისი თხოვნაც გაითვალისწინო?" — დაამატა ქეთევან გეჯაძემ.

მოშიმშილეებთან ყოველდღიურად 5 ექიმი მორიგეობს, მათ ყურადღებას არ აკლებენ, მაგრამ სამედიცინო ჩარევაზე მტკიცე უარს აცხადებენ. საფრთხე იმდენად რეალურია, რომ შედეგის წარმოდგენაც შემზარავია. მათ შიმშილობა ახლაც რომ შეწყვიტონ, არავინ იცის, ახლო მომავალში რომელი დაავადება იჩენს თავს. მოშიმშილეები შექმნილ ვითარებაზე მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ.

**მაია ხორგუაშვილი**

ინფორმაცია

## ჟურნალისტებს მოედიტინგეებმა ტერიტორია დაატოვებინეს

**ერთიანი** **ეროვნული საბჭოს ლიდერების გადაწყვეტილებით პარლამენტის წინა ტერიტორია, სადაც კარვებია გაშლილი ყველა ჟურნალისტს დაატოვებინეს.**

**ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს, როგორც ტელეჟურნალისტებს რომლებსაც საღამოს გარკვეული დაპირისპირება ჰქონდათ, ასევე საагენტოების ჟურნალისტებსაც, თუმცა, შესაძლოა, მოგვიანებით მხოლოდ ტელეკომპანია „კავკასიის" გადამღები ჯგუფი დაუშვან.**

## ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო

**ერთიანი** **ეროვნული საბჭოს ლიდერები ლევან გაჩეჩილაძე და ჯონდი ბაღათურია ყაზბეგის რაიონში, ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრის დავით ჩქარეულის დაკრძალვაზე იმყოფებოდნენ, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს.**

**როგორც ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, ეს არის პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას მოჰყვა.**

**იგი მხოლოდ იმის გამო მოკლეს, რომ ხელისუფლებას ყაზბეგის რაიონში გაყალბების საშუალება არ მისცა. ამ შემთხვევაში მსხვერპლია არ მარტო ჩქარეული, არამედ მკვლელიც, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ იგი თავისი უფროსის ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა, — აღნიშნა ბაღათურიამ.**

**იგი აცხადებს, რომ სასტიკი დანაშაულია ჩადენილი, რომელიც დაუსჯელი არ დარჩება.**

ინტერპრესნიუსი

# პროტესტი

● როგორც ჩანს, ხელისუფლებაზე მეტად ოპოზიცია არის გამსჭვალული ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობის გამო კონსტიტუციის პატივისცემით და, იმედია, მის ლიდერებს ეყოფათ სიბრძნე, ხოლო ხალხს მოთმინება, რათა ხალხისავე მხარდაჭერით გამოინახოს ის გზა, რომელიც ისე შეცვლის კონსტიტუციის აბუჩად ამგდებ ხელისუფლებას, რომ ქვეყანას აარიდებს უბედურებას




SOS!

# აქვს კი საქართველოს კონსტიტუცია?!

## თუ აქვს, მისივე დებულების საწინააღმდეგოდ როგორ ცვლიან ამ უპირველეს კანონს მავანნი?

**საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში მითითებულია, რომ საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება და სამართლებრივი სახელმწიფო, ეყრდნობიან რა ქართველი ერის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წ-ის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ...**

კონსტიტუცია მხოლოდ ხალხის ნების გამომხატველია და არა რომელიმე საპარლამენტო, რაგინდ დიდი პარტიის ან ფრაქციისა. თავად კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტი დაუშვებლად მიიჩნევს კონსტიტუციის გადასინჯვას საყოველთაო-სახალხო განხილვის გარეშე, რაც ხელისუფლების მიერ კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობის, ქვეყნის სტაბილურობისა და სამოქალაქო თანხმობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ერთადერთ გამონაკლისს უშვებს კონსტიტუციის გარდამავალი დებულებების 108-ე მუხლი მხოლოდ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილეების აუცილებლობისას, რაც გასაგებია, თუ რით არის განპირობებული.

ნიშნავს თუ არა საპარლამენტო უმრავლესობისა და პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის გადასინჯვის, კონსტიტუციითვე დადგენილი ზემოაღნიშნული ფუძემდებლური ნორმის უგულებელყოფა კონსტიტუციის ფაქტობრივ გაუქმებას?

ბუნებრივია, რომ არც პარლამენტი და არც პრეზიდენტი არ გამოსცემენ დადგენილებას ან ბრძანებულებას კონსტიტუციის გაუქმების თაობაზე, მაგრამ როდესაც, სისტემატურად, განსაკუთრებით კი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის სტრუქტურის თაობაზე კონსტიტუციაში ცვლილებები შედის საყოველთაო-სახალხო განხილვის გარეშე, ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ კონსტიტუცია აღარ არის ხელისუფლების შემაკავებელი ინსტრუმენტი, და ის ამ უკანასკნელს მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ კონსტიტუციურად წარმოაჩინოს მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის მიღებული გადაწყვეტილებები. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მოსახლეობისთვის კონსტიტუციამ დაკარგა უმთავრესი – ხალხის ნებით გამოცხადებული უფლებების გარანტის ფუნქცია, რის შემდეგაც კონსტიტუციის ქაღალდზე არსებობას ხალხისათვის აღარ აქვს მნიშვნელობა და ქვეყნის პრეზიდენტი, პრაქტიკულად, იმპერატორის სტატუსს იძენს.

თუ საზოგადოება შეეგუება რომელიმე ხელისუფალისა და მისი მხარდამჭერი პარლამენტარების მიერ საყოველთაო-სახალხო განხილვის გარეშე კონსტიტუციის გადასინჯვას, რატომ არ უნდა ველოდოთ იმასაც, რომ ერთ მშვენიერ დღეს კონსტიტუციის ისეთ ცვლილებას ვიხილავთ, რომლითაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები შეიზღუდება? მაგალითად, ასეთ ვითარებაში, ძალზე იოლია კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებაში სიტყვები – „არავინ არის ვალდებული“ – შეიცვალოს სიტყვებით – „ყველა ვალდებულია“ და მივიღებთ: ყველა ვალდებულია ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ან 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები – „აუცილებელი საზოგადოებრივი“ – შეიცვალოს სიტყვით – „ხელისუფლების“ და მივიღებთ: ხელისუფლების საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა. ასეთ ცვლილებებს საყოველთაო-სახალხო განხილვის გარეშე რომ უყაროს კენჭი პარლამენტის უმრავლესობამ და პრეზიდენტმაც ხელი მოაწეროს, გამოვა, რომ მოქალაქეთა ფაქტობრივი უუფლებობა კონსტიტუციური გახდება. ვინღაა ან რაღაა იმის გარანტი, რომ ეს ასე არ მოხდეა? პარლამენტმაც და ბატონმა მ. სააკაშვილმაც (ნაცვლად იმისა, რომ ეს უკანასკნელი რეალურად გამხდარიყო კონსტიტუციის დაცვის გარანტი, რაზეც, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს სავალდებულო ფიცი აქვს საქვეყნოდ დადებული), სამწუხაროდ, წესად გაიხადეს კონსტიტუციის გადასინჯვის, კონსტიტუციითვე დადგენილი ფუძემდებლური ნორმის უგულებელყოფა, რისი „საუკეთესო“ გამოვლინებაა პარლამენტის მიერ მაჟორიტართა წილის გაზრდის უმნიშვნელოვანეს საკითხზე კონსტიტუციური ცვლილების მიღება და დაკანონება, რაც, თუ სხვა კანონით არ არის გათვალისწინებული ამდაგვარ მოქმედებაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა, ძალზე წააგავს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით განსაზღვრულ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

ყველასთვის გასაგებია, თუ რა რეალურ (და არა ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრებთა უფლებების დაცვისძ მიზანს ემსახურება ერთპალატიან პარლამენტში მაჟორიტართა რიცხვის 50 პროცენტამდე გაზრდა, მაგრამ კონსტიტუციის ფაქტობრივ გაუქმებასთან შედარებით ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. როცა კონსტიტუცია აღარ არსებობს, არც იმის კითხვას აქვს მნიშვნელობა, თუ რატომ არ გადაიდგა ტერიტორიული ერთეულების პარლამენტში წარმოდგენისთვის „თავდადებული“ მმართველი პარტიისა და მაჟორიტარების მიერ რაიმე ნაბიჯი პარლამენტში კონსტიტუციითვე დადგენილი (1995 წ-დანძ ორი პალატის შესაქმნელად (მუხლი 4ძ. სენატი ხომ მხოლოდ ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისგან შედგება და ტერიტორიული მართვის ორგანოებიც ხომ უკვე არჩეულია.

მათთვის კი, ვინც ფიქრობს, რომ პარლამენტში მაჟორიტართა წილის 50 პროცენტამდე გაზრდა არცთუ ისე პრინციპულია, შევახსენებ, რომ პარლამენტში დეპუტატთა რიცხოვნობის 235-დან 150-მდე შემცირების საერთო-სახალხო რეფერენდუმზე განხილვის ძირითადი მოტივი გახლდათ პარლამენტის – ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი და კანონშემომქმედი ორგანოს – ეფექტურობის გაზრდა და არა მაჟორიტართა წილის მატება ან პარლამენტის სახელფასო ფონდის შემცირება. ამ ლოგიკას ექვემდებარებოდა საერთო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე 2005 წლის 23 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებაც, რომლითაც კონსტიტუციით დაკანონდა პარლამენტის შემადგენლობა 50 მაჟორიტარული და 100 პროპორციული სისტემით არჩეული წევრით (ალბათ, ხელისუფლება ჯერ კიდევ არ მიიჩნევდა საეჭვოდ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას და, რასაკვირველია, ვერ განსაზღვრავდა იმასაც, რომ დასავლეთი მომავალი საპარლამენტო არჩევნების შეფასებისას მეტად კატეგორიული იქნება, ვიდრე საპრეზიდენტოსი და ამიტომ ველარ დაეყრდნობა გაყალბების მაღალ კოეფიციენტსძ.

თუ ამჟამინდელ პარლამენტში პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატთა წილი შეადგენს დაახლოებით 65 პროცენტს, ბოლო კონსტიტუციურ ცვლილებებამდე მომავალ პარლამენტში ის დაახლოებით 67 პროცენტი გახდებოდა, ალბათ, არ უნდა იყოს საჭირო იმის განსაკუთრებით ახსნა, რომ როცა პროპორციული სისტემით დეპუტატებად 150-ის ნაცვლად ირჩევა (და არა ინიშნებაძ 100 პროფესიონალი პოლიტიკოსი და თანაც მათ აქვთ გადამწყვეტი ხმა პარლამენტში, მეტი ალბათობა იქნებოდა იმისა, რომ ახალი პარლამენტი უფრო ეფექტური გახდებოდა. არა მგონია, ვინმემ იკისროს იმის დასაბუთება, რომ მაჟორიტარი დეპუტატების წილის 50 პროცენტამდე ზრდა შეესაბამება პარლამენტის ფუნქციონირების ეფექტურობის ზრდას. პირიქით კი, უმარტივესია იმის დასაბუთება, თუ როგორ და რატომ შემცირდება პარლამენტის ეფექტურობა მაჟორიტართა წილის 50 პროცენტამდე გაზრდით.

ამით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო პრაქტიკულად გახდება ადგილობრივი, საქვეყნოსთან შედარებით, ვიწრო ინტერესების მძევალი. თუ ვინმე მართლაც ფიქრობს, რომ მაჟორიტარს შეუძლია რაიმე პრობლემის გადაწყვეტა, იქნებ სთხოვოს რომელიმე მაჟორიტარს, რომ მან საჯაროდ აცნობოს საზოგადოებას, თუ რა ტიპის საკითხები აქვს გადაწყვეტილი, ვისი საშუალებით და რა გზებით? იქნებ ჩვენც დავიჯეროთ, რომ მათ გადაწყვეტას, ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველობისა, მაჟორიტარი დეპუტატი სჭირდება? მაჟორიტარის შესაძლებლობა, შეუსრულოს თავისი რაიონის მოსახლეობას დანაპირები, თუ არ ჩავთვლით აშკარად კანონსაწინააღმდეგო გარიგებებს, იმედია, დამეთანხმებით, არის მხოლოდ კენჭისყრისას საკუთარი ხმით ვაჭრობა აღმასრულებელ (ბიუჯეტის შემდგენძ ხელისუფლებასთან, ხელისუფლებისთვის საჭირო კანონის ან საკონსტიტუციო ცვლილების მხარდაჭერის სანაცვლოდ რაიონისთვის რაიმე საკითხის გადაჭრისთვის. იოლი წარმოსადგენია, როცა ამას გააკეთებს, პრაქტიკულად ნებისმიერი საკითხის დამბლოკავი ან გამტანი პარლამენტის 150 დეპუტატიდან 75 (პარლამენტის შემადგენლობის 50 პროცენტიძ.

დღეს, როცა ქვეყანას კონსტიტუცია, პრაქტიკულად, აღარა აქვს გარდა იმისა, რომ გამოძებნოს პარლამენტში მაჟორიტართა 50 პროცენტამდე გაზრდის უარყოფითი გავლენის შემცირების საშუალებები, ვფიქრობ, ერთადერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ის, თუ ვის და როგორ შეუძლია აღადგინოს კონსტიტუციის უმთავრესი ფუნქცია. ალბათ, ეს უნდა იყოს ნებისმიერი თავმოყვარე და ქვეყნის პატივისმცემელი მოქალაქის, მათ შორის ოპოზიციის ლიდერებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთან თუ ასეთები კიდევ არიანძ მიზანი. საინტერესო კია, გრძნობენ თუ არა სინდისის ქეჯნას ისინი, ვინც თავს აძლევს იმის უფლებას, რომ საზოგადოებას საჯაროდ განუცხადა, დროის სიმცირის გამო შეიძლება კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის უგულებელყოფაო.

არა მგონია, 2008 წლის 12 მარტის საკონსტიტუციო ცვლილებების შემომქმედებმა, განსაკუთრებით კი იურიდიული განათლების მქონე პარლამენტის თავმჯდომარემ და პრეზიდენტმა, გარდა იმისა, რომ აფხაზეთიც და სამაჩაბლოც საქართველოა, არ იცოდნენ მოქალაქეთა რიცხვის შემცირება ხელისუფლებამ ჩათვალა იმ ფაქტად, რომ მოქალაქეთა საპროტესტო ტალღა პარლამენტის არჩევნების ვადის გაზაფხულზე გადმოტანით დაცხრა და კონსტიტუციის ხელყოფისა და სხვა, დემოკრატიისთვის მიუღებელი მოქმედებების გამო ახალ საპროტესტო მძლავრ აქციებს არ ელის.

თუ ეს ასეა, და თუ ხელისუფლება არ გადადგამს რაიმე ნაბიჯს კონსტიტუციის უმთავრესი დანიშნულების აღსადგენად, ის, რომ ხელისუფლებამ პარლამენტის 50 პროცენტით მაჟორიტარებით დაკომპლექტების გამო უმნიშვნელოვანესი პროცედურის დარღვევით დაჩქარებული (პარლამენტის არჩევნების დანიშვნიდან რამდენიმე დღეში და არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრეძ დაკანონებით, ფაქტობრივად, გააუქმა კონსტიტუცია, უნდა ნიშნავდეს, რომ ამით ხელისუფლება გვატყობინებს,რომ ის უარს ამბობს ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებაზე და მზადაა გარდაუვალი პროცესის, ახალი და ადრინდელზე უფრო მძლავრი საპროტესტო ტალღის უხეში ძალით ჩასახშობად, რითაც შეგნებულად ან ხელისუფლების შენარჩუნების ჟინით თვალდაბინდული ქვეყანას მიაქანებს კატასტროფისკენ. ხელისუფლება რომ არაფრად აგდებს არც ოპოზიციისა და არც მოშიმშილეთა აზრს, დადასტურდა რამდენიმე დღის წინათ, როცა პარლამენტმა დააკანონა მაჟორიტარების არჩევის ოპოზიციისთვის კატეგორიულად მიუღებელი წესი. ამის ერთ-ერთი ნიშანია ისიც, თუ როგორ დამოკიდებულებას ავლენს დღეს ხელისუფლება ტელეიმედისა და მოშიმშილეებისადმი, რომლებიც, სამწუხაროდ, ხელისუფლების ორპირობის გამო იძულებულნი გახდნენ მიემართათ ასეთი უკიდურესი, თავგანწირული საპროტესტო აქციისთვის (ღმერთმა ნუ ქნას, ამ აქციამ შეიწიროს რომელიმე მოშიმშილის სიცოცხლეძ, რაც, რასაკვირველია, მათ მიმართ ღრმა პატივისცემას იმსახურებს.

ხელისუფლება, ოღონდ კი თავი წარმოაჩინოს ხალხისა და ოპოზიციის აზრის გათვალისწინებით და მოლაპარაკების გზით ქვეყნის საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტის მოსურნედ, არც იმას ერიდება, რომ პატრიარქის სიტყვის არსიც კი დაამახინჯოს. თუ ყურადღებით მოუსმენდით პატრიარქს, მას არ უბრძანებია, რომ შიმშილობის აქციაა არაქრისტიანული. მან ბრძანა, შიმშილობით თვითმკვლელობაა არაქრისტიანულიო, რასაც, ალბათ, თავად მოშიმშილეებიც იზიარებენ. ვინ სჩადის ცოდვას, ის, ვინც იძულებულია მონაწილეობა მიიღოს შიმშილობის აქციაში და შეიძლება თავიც კი შესწიროს ქვეყნისათვის საჭირო იდეას, თუ ის, ვინც სხვა გზას არ უტოვებს მათ?

არა მგონია, შიმშილობის აქციის შეწყვეტას ესაჭიროებოდეს რაიმე მოლაპარაკება ხელისუფლებასა და მოშიმშილეებს შორის. საკმარისია ხელისუფლებამ, თუ ის კეთილგონიერია, შეასრულოს ოპოზიციის მემორანდუმში დაფიქსირებული სამართლიანი და კანონიერი მოთხოვნები, რომელთაც ასიათასობით მოქალაქე უჭერს მხარს. თუმცა, ვეჭვობ, რომ ეს უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა.

როგორც ჩანს, ხელისუფლებაზე მეტად ოპოზიცია არის გამსჭვალული ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობის გამო კონსტიტუციის პატივისცემით და, იმედია, მის ლიდერებს ეყოფათ სიბრძნე, ხოლო ხალხს მოთმინება, რათა ხალხისავე მხარდაჭერით გამოინახოს ის გზა, რომელიც ისე შეცვლის კონსტიტუციის აბუჩად ამგდებ ხელისუფლებას, რომ ქვეყანას აარიდებს უბედურებას.


**დავით ტარუაშვილი,**
ინჟინერი

# კარგი შანსი

**ბოლო პერიოდში გაჩნდა შანსი, რომ რუსული ბაზარი, რომელიც იქაური პოლიტიკური ელიტის ამბიციებისა თუ აქაურ ხელისუფალთა „ტაქტიანი რიტორიკის“ გამო უკვე ორი წელია დავკარგეთ, უკანვე დავიბრუნოთ**



## რუსული ბაზარი გვიბრუნდება?

# სიტყვა შენზეა, ქართულო ღვინოვ!

**ბოლო პერიოდში გაჩნდა შანსი, რომ რუსული ბაზარი, რომელიც იქაური პოლიტიკური ელიტის ამბიციებისა თუ აქაურ ხელისუფალთა „ტაქტიანი რიტორიკის“ გამო უკვე ორი წელია დავკარგეთ, უკანვე დავიბრუნოთ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ დღეებში მიიღო რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიშჩენკოს წერილი, რომელიც მზადყოფნას გამოთქვამს, განახლდეს ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები ქართული პროდუქციისათვის ემბარგოს მოხსნის შესახებ.**

რა მოიგო ამ ეგრეთ წოდებული ემბარგოთი რუსეთმა და რა წააგო საქართველომ? ჩვენი მთავრობის ტრაბახა და ბაქიბუქა ლიდერებს თუ დავუჯერებთ, საქართველომ რუსეთის განაწყენებით მისი ვრცელი და შემოსავლიანი ბაზარი მართალია დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ მოიგო პერსპექტივაში. გაჩნდა შანსი, ერთიორად გავაუმჯობესოთ ჩვენი პროდუქციის ხარისხი, გავხადოთ ის კონკურენტუნარიანი და გავიტანოთ ამერიკის, ევროპის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების ბაზრებზე, სადაც მას გაცილებით მეტი წარმატება ექნება, ვიდრე პოსტსაბჭოურ სივრცეში.

ვიყოთ რეალური და ვაღიაროთ, რომ რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოს შემდეგ საქართველომ მაინც და მაინც ვერც პროდუქციას შემატა რაიმე მნიშვნელოვანი და ვერც ევროპისა და ამერიკის სასურველი ბაზრები დაიპყრო. წაგებით კი ბევრი რამ წააგო. უპირველესად ეს ეხება ქართულ ღვინოსა და „ბორჯომს“, რომელთა მოცულობის თითქმის 80 პროცენტი რუსეთის ბაზარზე რეალიზდებოდა. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად მწარმოებლები დაზარალდნენ. მართალია, მსხვილმა კომპანიებმა თავი გადაირჩინეს, მაგრამ რუსულ ბაზარზე ორიენტირებული ბევრი ფირმა და ჩვენი პროდუქციის იქაური დისტრიბუტორი გაკოტრდა.

რუსული ემბარგოს მუშტი ყველაზე მტკივნეულად მაინც ქართველ მევენახეს მოხვდა. იმის გამო, რომ ბაზარი დაკარგეს, ღვინის ქარხნები ყურძნის მოსავალს ჩალის ფასადღა იბარებენ, რაც მევენახეს აიძულებს ამ ისტორიულად ტრადიციულ დარგზე გული აიცრუოს (რასაც ზოგჯერ ვაზის გაკაფვითაც გამოხატავსძ და ვენახის ნაცვლად სხვა კულტურების მოშენებაზე იფიქროს.

ჩვენ კი წავაგეთ, მაგრამ თავად რუსეთმა რა მოიგო? თქვენ წარმოიდგინეთ, არც თავად რუსეთს მოუგია რამე, პირიქით, წააგო კიდეც. ფაქტებს სად გავექცევით. ემბარგომდე რუსეთში მოლდავურ ღვინოებს შედარებით იაფი ღვინის ბაზარზე (0,7 ლიტრი 60-80 რუბლიძ 50 პროცენტი ეკავა, ქართულ ღვინოს საშუალო სიძვირის კატეგორიაში (150-200 რუბლიძ 80 პროცენტი ჰქონდა ათვისებული. ჩვენი და მოლდავური ღვინოების აკრძალვის შემდეგ რუსები სამომხმარებლო ბაზრის შევსებას კრასნოდარისა და ყიზლარის ქარხნების მიერ წარმოებული მდარე ხარისხის პროდუქციით შეეცადნენ, რამაც ღვინოები საგრძნობლად გააძვირა (იაფი ღვინის ფასი ახლა რუსეთში 110 რუბლიდან იწყებაძ. ამჟამად რუსულ ბაზარზე ლიდერობენ საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, გერმანია, არგენტინა და სხვები, რომელთა ძვირადღირებული ღვინოები მომხმარებელს არც თუ გულზე ეხატება. ეს იგრძნობა იქიდანაც, რომ შარშან რუსეთში ღვინის იმპორტი წინა წელთან შედარებით თითქმის 30 პროცენტით შემცირდა.



ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ღვინის ბაზარი რუსეთში ჯერჯერობით ვერ შეივსო და ქართულ ღვინოს იქ დაბრუნების შანსი არ დაუკარგავს. თუმცა აქვე იბადება კითხვა: არიან კი მზად ქართული „ღვინის ქურუმები“ იმისათვის, რომ ასეთი შანსი ხელიდან არ გაუშვან?

უპირველესად, ალბათ, საკითხავია, რას ფიქრობენ ისინი გენადი ონიშჩენკოს წერილთან დაკავშირებით. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, „ჩვენ მზად ვართ, მივაწოდოთ მათ ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ კონტროლდება ღვინის ხარისხი, რა ეტაპებს გადის ის იმისათვის, რომ მოხვდეს საექსპორტო გადატვირთვაში“.

რა შინაარსის ინფორმაციას მიაწვდის სოფლის მეურნეობის სამინისტრო რუსეთის მთავარ სანიტარიულ ექიმს, ეს მომავალში გამოჩნდება, მაგრამ ის, რაც ღვინის ხარისხის ასამაღლებლად ბოლო წლებში გაკეთდა, ამის თაობაზე კონკრეტულ ინფორმაციას სხვაზე მეტად ვაზისა და ღვინის დეპარტამენტში ფლობენ. ამ უწყების თავკაცის ვასილ მანაგაძის განმარტებით, რუსულმა ემბარგომ ქართული ღვინის ხარისხზე დადებითად იმოქმედა. დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წელს საქართველოდან 13,5 მილიონ ბოთლამდე ღვინო და ღვინომასალებია ექსპორტირებული, თანაც წინა წლებთან შედარებით, გაცილებით ხარისხიანი. კვლავინდებურად, ძირითადად საექსპორტო არედ რჩება დსთ-ს ქვეყნები, აგრეთვე ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, ქართული ღვინოები იყიდება პოლონეთსა და ჩეხეთში, თქვენ წარმოიდგინეთ, გერმანიასა და ესპანეთშიც კი, რა თქმა უნდა, მცირე რაოდენობით.

მაინც რა საშუალებებს იყენებენ „სამტრესტში“ ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად? როგორც აქ მითხრეს, უშუალოდ რთვლის პერიოდში აკვირდებიან, რა რაოდენობისა და ხარისხის ყურძენს იღებენ ღვინის ქარხნები. თუ ქარხანამ, ვთქვათ 20 ტონა ყურძენი ჩაიბარა, შემდეგ კი ღვინო მასალა 50 ტონისა აღმოჩნდა, გასაგებია, რომ „იმამაძალლა“. ამასთან ერთად, გამკაცრებულია საექსპორტო პროცედურები.

თუმცა ღვინის ხარისხზე მომუშავე სპეციალისტები და კონსულტანტები ცოტა სხვანაირად ლაპარაკობენ. მათი აზრით, რუსულ ემბარგოს შემდეგ ქართულ მეღვინეობაში არსებითად ბევრი არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ უფრო ნაკლები შაქარი შეაქვთ ქარხნებში და ამის შესაბამისად, ფალსიფიკაციაც ნაკლებია. იმათ რომ არ გვითხრან, განა თავად მომხმარებელი ვერა გრძნობს, როგორი ხარისხის ღვინოს მიირთმევს, გნებავთ დედაქალაქისა და გნებავთ რეგიონების საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ხალხმრავალ ქორწილებსა თუ ქელეხებში? ასეთი ღვინოები მარტო საკუთარ თავს კი არა, ხშირად უგემრიელესი კერძებით ჩაზნექილ სუფრასაც აუგემურებს.

რა თქმა უნდა, ფალსიფიცირებული ღვინო მარტო შაქარწყლით არ მზადდება. როგორც სხვა წლებში, გასულ შემოდგომასაც არატექნიკური ჯიშის („ვაქირულა“, „შანიძის ვაზი“ და სხვაძ ყურძნიდან გაუყიდავი გრამიც არ დარჩენილა. აბა მობრძანდით და ნახეთ, რომელიც გნებავთ ქარხანაში, ასეთი ყურძნისგან დამზადებული ღვინო თუ არის აღრიცხული (!ძ, მეტი ფალსიფიკაცია რაღა გინდათ?

ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ქართული ღვინოების ექსპორტის წინააღმდეგი ვარ, პირიქით, მისი სიყვარული და მოკეთეობა მალაპარაკებს. მინდა, ქართულ ღვინოს მონატრებული რუსი (და არა მარტო რუსიძ მომხმარებელი, მასთან ხელმეორედ შეყრისას იმედგაცრუებული არ დარჩეს. ქართული ვაზის ნაჟურს საკუთარ ნამუსზე მეტი გაფრთხილება უნდა და ადრე ამას, უპირველესად, ჩვენი მეღვინეები აღიქვამდნენ.

**ოთარ ხუციშვილი**

## ინფორმაცია

### პიკეტირებაზე ქალბატონები იმორიგევებენ

**ოპოზიციის მოთხოვნები უცვლელი რჩება. ამის შესახებ ერთიანი ეროვნული საბჭოს ერთ-ერთმა ლიდერმა გოგა ხაინდრავამ განაცხადა.**

**რა თქმა უნდა, ძალაში რჩება ის 17-ვე მოთხოვნა, რომელზეც თავიდანვე გვქონდა საუბარი. ასევე, არ იხსნება დღის წესრიგიდან ჩვენი მოთხოვნა, „საქართველო სააკაშვილის გარეშე“ და ახალი მემარჯვენეების მოთხოვნა, ბურჯანაძის გადადგომასთან დაკავშირებით.**

**მისი თქმით, რეგიონებიდან თბილისის მიმართულებით ოპოზიციის მიტინგზე დასასწრებად მოსახლეობა უკვე დაიძრა, თუმცა ხაინდრავა აქვე აღნიშნავს, რომ საორგანიზაციო საკითხები კოლონების ჩამოყვანასთან დაკავშირებით ბოლომდე მოწესრიგებული არ არის იმ მიზეზით, რომ ერთიანი საბჭოს ყველა ლიდერი პარლამენტის წინ არის კონცენტრირებული და ყველა აქ იმყოფება.**

**ხაინდრავა ასევე აღნიშნავს, რომ ოპოზიცია თანახმა იყო პატრიარქის კურთხევითა და თხოვნით ერთადერთი მოთხოვნა დაეტოვებინა და, როგორც ხაინდრავა აღნიშნავს, ხელისუფლებამ ცესკოს თავმჯდომარის პოსტიდან ლევან თარხნიშვილის გადაყენებაც არ ისურვა.**

**როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, ღამის განმავლობაში პიკეტირებაზე ქალბატონები იმორიგევებენ, რომელთა რეგისტრაცია პარლამენტის შენობის წინ დილიდან დაიწყო.**

### ქალთა აქცია პარლამენტის წინ

**რეჟისორი ქეთი დოლიძე ქართველ ქალბატონებს მოუწოდებს, რომ პარლამენტის წინ მივიდნენ.**

**— ჩვენ აქ მჯდომარე აქციას მოვაწყობთ და აქ ვიქნებით, ვიდრე ხალხის მოთხოვნები არ შესრულდება. ამ ყველაფრის ატანა უკვე აღარ შეიძლება, ჩვენ არავის სიკვდილი არ გვინდა. მოშიმშილეებიდან რომელიმეს, ერთსაც რომ რაიმე დაემართოს, ქვეყანა დაიღუპება, — განაცხადა ქეთი დოლიძემ.**

**პარლამენტის წინ მისვლისკენ მოუწოდებს მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძეც.**

**— აქ უკვე ლაპარაკი არა პოლიტიკაზე, არამედ ზნეობაზეა. მნიშვნელობა არა აქვს, ვის მხარეზე იქნებიან ქალბატონები, ხელისუფლების თუ ოპოზიციის. დღეს აქ საქმე ადამიანების სიცოცხლეს ეხება და ყველა აქ უნდა დავდგეთ, — განაცხადა ნინელი ჭანკვეტაძემ.**

### საქართველოში პოლიტიკური პროცესი ჩიხში შევიდა

**ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს სპეციალურ მიმართვას უგზავნის.**

**მიმართვაში ნათქვამია, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესი ჩიხში შევიდა და საპარლამენტო არჩევნების თარიღის გამოცხადების მიუხედავად, პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო პროცესში ჩართვის მოტივაცია არ გააჩნიათ.**

**— ხელისუფლების მიერ შემუშავებული მემორანდუმის არც ერთი პუნქტი არ შესრულებულა და შესაბამისად არ არსებობს არჩევნების დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად ჩატარების მექანიზმი. ხელისუფლებამ ასევე არ გაითვალისწინა ეუთოსა და სხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები. პოლიტიკური ლიდერების შიმშილობის აქცია და ამ აქციის მიმართ ხელისუფლების სრული გულგრილობა კიდევ უფრო დრამატულს ხდის შექმნილ მდგომარეობას, — ნათქვამია ქრისტიან-დემოკრატების მიმართვაში.**

**მოძრაობის წევრები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს მოუწოდებენ, აქტიურად ჩაერთონ პროცესში, მოახდინონ ზეწოლა ხელისუფლებაზე და შეასრულონ მედიატორის როლი დემოკრატიულ ძალებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის, რათა პროცესები კვლავ დიალოგის რეჟიმს დაუბრუნდეს.**

ინტერპრესნიუსი და ХИ-ЭЙЧ-ЭНИ

# ეს ყურადსაღებია

ჩვენი ქვეყანა დღემდე მოიყვანა მართლმადიდებლურმა რელიგიამ სწორედ ეროვნული ტრადიციების დაცვა, წინა პლანზე წამოწევა და განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის განვითარებისათვის ხელის შეწყობა დღევანდელი მთავარი პროცესია



## მე რომ ხელისუფალი ვიყო

*5 იანვრის არჩევნებმა ერთხელ კიდევ გვაჩვენა ამ ხელისუფლების ავტოკრატული, ძალადობრივი და დიქტატორული სახე. ქვეყანა ერთხელ კიდევ აღმოჩნდა იმ მწარე რეალობის წინაშე, როცა უბოდიშოდ ილახება ადამიანის ღირსება, უხეშად ირღვევა მისი კანონიერი, კონსტიტუციური უფლებები. ასეთ ვითარებაში დიდია პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, რომელნიც მოწოდებულნი არიან, დაიცვან სიცრუისა და უსამართლობისგან განაწამები ადამიანები, აღუდგინონ მათ რწმენა, შექმნან ქვეყანაში საყოველთაო თავისუფლების, სამართლიანობისა და კეთილდღეობის ატმოსფერო.*

*მე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვისა და დახმარების საერთაშორისო კავშირ „ნდობას“ თავმჯდომარეს, ხშირად მეკითხებიან, ხელისუფალი რომ ვიყო, რას მოვიმოქმედებდი?*

# საქართველოში უპირველესად კანონიერებას და სამართლიანობას დავამკვიდრებდი

უპირველესად, დავიცავდი კანონის უზენაესობას, ქვეყნის ყველა მოქალაქის კანონიერ უფლებებს, როცა კანონი ყველასთვის კანონი იქნებოდა.

მივიღებდი ლუსტრაციის კანონს და გავარკვევდი ყველა პოლიტიკოსის თუ სახელმწიფო მოღვაწის პიროვნებას.

სასამართლო იქნებოდა არჩევითი, რაც განაპირობებდა მის დამოუკიდებლობას. დამოუკიდებელი სასამართლო კი სამართლებრივი სახელმწიფოს გარანტია, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების სამართლიანი ინტერესების დაცვას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის საპირწონე იქნებოდა „ფედერალური დაზვერვის სამმართველოს“ მსგავსი დეტექტიური გამოძიების ცენტრი, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად, სადავო საკითხებს გაარკვევდა საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით.

უზრუნველვყოფდი ადვოკატის თავისუფლებას, რათა მან სრულფასოვნად განახორციელოს საკუთარი მოვალეობა, მაგრამ არა როგორც ფიზიკურ პირად დარეგისტრირებულმა, არამედ საადვოკატო ბიუროს წევრმა, რომ ხელი არ გაეხსნას იმ არაკეთილსინდისიერ ადვოკატებს, რომლებიც, სამწუხაროდ, მრავლად არიან საქართველოში და ყალბი დაპირებებით ატყუებენ და სძალავენ ფულს თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფთ და მათ ახლობლებს.

დიდ ყურადღებას დავუთმობდი წინასწარი პატიმრობის ალმკვეთი ლონისძიების საკითხს, საადვოკატო ბიუროების და ცნობადი სახეების დხმარებით შევცვლიდი ნებისმიერი სახის ალმკვეთ ლონისძიებას თავდებით, თუნდაც ორ სამჯერ ერთსა და იმავე პიროვნებაზე. პრიორიტეტულს გავხდიდი თავდების ინსტიტუტს და არა საპროცესო შეთანხმებას და გირაოს, რითაც ყოველთვიურად, თითო პატიმარზე 80 ლარზე მეტ ეკონომიას გააკეთებდა სახელმწიფო. ხოლო სასჯელაღსრულების ადგილებზე დავასაქმებდი პატიმრებს, რითაც ყველა ისარგებლებდა როგორც სახელმწიფო, ისე ოჯახი და პატიმარი. იქვე გავხსნიდი პროფესიული გადამზადების ცენტრს.

აღვადგენდი ეროვნებასა და მამის სახელს პასპორტში. არ დავუშვებდი გვარების მასობრივ გადაკეთებას.

შევქმნიდი ეროვნულ დარბაზს, რომელიც შეასრულებდა ე. წ. „ფილტრის“ როლს პრეზიდენტის, პარლამენტის და სასამართლოს (მოსამართლისძ არჩევნების დროს. არჩევნებში ჩართვამდე დარბაზი შეისწავლიდა მათ მონაცემებს ბავშვობიდან ბოლო მომენტამდე.

აღვადგენდი სოციალურ სამართლიანობას და ვიბრძოლებდი დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ ყოფილი თუ მოქმედი სახელმწიფო მოხელეების მიმართ, ვინც გაანიავა სახელმწიფო ქონება.

ჩავატარებდი აღწერა-ინვენტარიზაციას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 1990 წლიდან დღევანდლამდე.

შევწყვეტდი საქართველოს ფარგლებს გარეთ ხე-ტყის, ფერადი და შავი ლითონის თუ სხვა წიაღისეულის გატანას.

მთლიანად შევაჩერებდი საქართველოს პრივატიზაციას, შევქმნიდი ქონების შემფასებელ კომისიას კვალიფიციური სპეციალისტებისგან, რასაც დღეს ასრულებს „აუდიტი“. ის, რომ ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე იძლევა ქონების შეფასების ნებისმიერ საბუთს. ასევე, ჩავატარებდი მიწის კადასტრს, რითაც დავადგენდი მიწის რეალურ ფასს. მოვითხოვდი პრივატიზაციაში მონაწილე ყველა პირისაგან საპრივატიზაციო თანხის წარმომავლობას, რის შემდეგაც დავუტოვებდი ქონების იმ ნაწილს, რასაც გაწვდებოდა მისი პრივატიზაციაში ჩადებული თანხა, ჩვენი გათვლებით 80-85 პროცენტი ქონებისა ისევ გადავიდოდა სახელმწიფო საკუთრებაში და სახელმწიფო ამ თანხით ან ქონებით გაისტუმრებდა მეცნიერების ვალებს. სახელმწიფოს საკუთრებაში დავტოვებდი ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს, ხე-ტყეს, წიაღისეულს და ა.შ.

გადასახადისგან მთლიანად გავათავისუფლებდი ენერგომატარებლებს (გაზი, ელენერგია, ნავთობპროდუქტებიძ, რომელთა მაღალი ფასი პირდაპირპროპორციულად მოქმედებს თითქმის ყველაფერზე. ასევე, გადასახადებისგან გავათავისუფლებდი პურპროდუქტებს. ინდმეწარმეებს, დამწყებ ბიზნესმენებს, ფიზიკურ პირებს 50 პროცენტამდე შევუმცირებდი გადასახადს. მცირე მეწარმეებს დავეხმარებოდი გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი კრედიტით, ასევე, გავუკეთებდი დაზღვევას ზარალის შემთხვევაში.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დავიწყებდი მცირე ჰესების მშენებლობას, რაც მთლიანად მოხსნიდა ენერგეტიკულ პრობლემას. ერთი კილოვატის ფასი არ იქნებოდა 3-4 თეთრზე მეტი.

დიდ ყურადღებას დავუთმობდი სოფლად ოჯახური ფერმერული მეურნეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობის ნებისმიერი პროდუქტის გამოშვების საკითხში მათ ექნებოდათ სახელმწიფო მხარდაჭერა, დაზღვევა და რეალიზაციაში დახმარება.

არ დავუშვებდი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოს მიწის არც ერთი ფორმით გადაცემას, მიყიდვას, ის, ვინც გადაიხდიდა რამოდენიმე მილიონს საწარმოების შესყიდვაში, მას დაევალებოდა როგორც საწარმოს პატრონობა ისე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ქვეყნის ეკონომიკური სწრაფად აღმავლობისთვის ძირითად ფინანსურ საშუალებას ჩავდებდი ეკონომიკის განვითარებაში, ხოლო კეთილმოწყობას დავაფინანსებდი მოგებიდან. ეკონომიკური გაჯანსაღება თავისთავად ხელს შეუწყობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნიდან არავის გაუჩნდებოდა გასვლის სურვილი.

ჩვენი ქვეყანა დღემდე მოიყვანა მართლმადიდებლურმა რელიგიამ სწორედ ეროვნული ტრადიციების დაცვა, წინა პლანზე წამოწევა და განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის განვითარებისათვის ხელის შეწყობა დღევანდელი მთავარი პროცესია.

დაუნდობელ ბრძოლას გამოვუცხადებდი კორუფციას, მექრთამეობის, აფიორასა და ფალსიფიკაციას. ყოველმხრივ დავეხმარებოდი პატიოსანი მშრომელი ადმიანის წარმოჩენას, ხელისუფლებაში კადრების სწორ შერჩევას.



**ილია ბარაბაძე,**
ადამიანის უფლებების დაცვისა და დახმარების საერთაშორისო კავშირ „ნდობას“ თავჯდომარე

## ინფორმაცია



### ქუთაისი მაჟორიტარებმა წალეკეს

**ქუთაისის** მაჟორიტარ დეპუტატობის მსურველები დღითი დღე მატულობს.

ცნობილია ისიც, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქუთაისიდან კენჭს აღარ იყრის. ნაციონალური მოძრაობა ბურჯანაძის გუნდის წევრს, ექიმ გოგიტა გეგელაშვილს წარადგენს, ოპოზიციის კანდიდატი კი გუბაზ სანიკიძე იქნება.

გავრცელებული ინფორმაციით, მაჟორიტარობაზე პრეტენზიას აცხადებს მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში ბესო მიქელაძე, რომელიც ამჟამად ქუთაისში ბიზნესით არის დაკავებული.

სავარაუდოდ, კენჭისყრას აპირებს იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი. იგი ამის შესახებ განცხადებას უახლოეს მომავალში გააკეთებს.

### საქალაქო სასამართლო ბესელიას განცხადებას ეხმაურება

**ადვოკატ** ეკა ბესელიას მიერ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ განსასჯელმა ირაკლი ოქრუაშვილმა უარი განაცხადა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესში სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატების მონაწილეობაზე სასამართლო ეხმაურება.

როგორც სასამართლოდან იტყობინებიან, სასამართლოსათვის წარმოდგენილი განცხადების თანახმად, სახაზინო ადვოკატების საქმის განხილვაში მონაწილეობას აპროტესტებენ ეკა ბესელია და ლილი გელაშვილი და არა თავად ირაკლი ოქრუაშვილი, როგორც ამას ადვოკატი ბესელია აცხადებს.

ადვოკატის ასეთი მოსაზრება არ გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებიდან და იგი აბსოლუტურად უსაფუძვლოა, — ნათქვამია სასამართლოს ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ოქრუაშვილს ადვოკატი სახაზინო წესით დაენიშნა მას შემდეგ, რაც მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ეკა ბესელიამ და ლილი გელაშვილმა, დატოვეს სასამართლო სხდომა, რითაც განსასჯელი დატოვეს დაცვის გარეშე. ადვოკატს, რომელიც ახორციელებს დაცვას შეთანხმებით, უფლება არ აქვს უარი თქვას პირის დაცვაზე საპატიო მიზეზის გარეშე. შესაბამისად, განსასჯელ ოქრუაშვილის ადვოკატების მხრიდან პროცესის დატოვება და სხდომაზე გამოუცხადებლობა ნიშნავს არა მარტო შეთანხმების დარღვევას, არამედ არასაპატიო მიზეზით დაცვის განხორციელებაზე უარის თქმას, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

სასამართლოს განცხადებით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადგენს, რომ პროცესის მწარმოებელი ორგანოს ვალდებულებას დაუნიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე პირს, რომელიც თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში ხორციელდება იძულებითი დაცვა და პროცესის მწარმოებელ ორგანოს არ აქვს უფლება მიიღოს განსასჯელის უარი დამცველის დანიშვნაზე. ანუ, იძულებითი დაცვა ხორციელდება პირის სურვილის მიუხედავად.

რაც შეეხება სახაზინო ადვოკატების მიერ დაცვის სრულყოფილად განხორციელებას, სასამართლო განმარტავს, რომ იქიდან გამომდინარე, რომ განსასჯელი არ ესწრება სასამართლო სხდომას, იგი თავს არ სცნობს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რაც დაცვის მხარისათვის არის კიდეც გაცხადებული პოზიცია. მოქმედი კანონმდებლობა დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობის გაცხადებისას ან მისი უარყოფისას განსასჯელის თანხმობას არ ითვალისწინებს.

### შვედებს „თელიანი ველი“ მოეწონათ

**ქართული** ღვინის მწარმოებელი კომპანია „თელიანი ველის“ პროდუქციამ შვედეთში დიდი მოწონება დაიმსახურა.

როგორც „თელიანი ველიდან“ იტყობინებიან, შვედეთში გამოცხადებულ ტენდერზე კომპანიამ შვედეთის ბაზარზე შესატანად „საფერავი“ წარადგინა. საბოლოო შედეგები აპრილის დასაწყისში გახდება ცნობილი.

ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში შვედეთის მთავრობა სექტემბერში 14 ათას ბოთლს შეიტანს.

„თელიანი ველმა“ აღნიშნულ ტენდერში გასულ წელს გაიმარჯვა, რის შედეგადაც კომპანიამ შვედეთში გამარჯვებულმა მაშინ 10 000 ბოთლი ღვინო გაყიდა.

ინტერპრესნიუსი

№ 56. ოთხშაბათი, 26 მარტი, 2008 წელი.



◎ წარსულის გავლით — მომავლისაკენ

***სწორედ ამ წერილის ქვესათაურში გამოტანილი ეს თეზა, ობიექტურ ფაქტებზე (წყაროებზე) დაყრდნობით ისტორიული ჭეშმარიტების ძიება-დადგენა, მისი დაცვა და პროპაგანდა არის ჩვენი, ფაზისის აკადემიის უპირველესი საზრუნავი. უწინარესად, სწორედ ამ თემას მიეძღვნება ჩვენი აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“, რომელიც 28 მარტს, 12 საათზე გაიმართება თბილისში, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში. ვიდრე კონკრეტულად მოგახსენებდეთ კონფერენციის მთავარ თემაზე, მანამდე რამდენიმე ისტორიულ ფაქტზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას.***

# ფაზისი — კოლხური ცივილიზაციის გვირგვინი

## თუ თანამედროვენი რამეს ვერ შევმატებთ სამშობლოს, შთამომავლობას ის მაინც შევუნარჩუნოთ, რაც წინაპრებმა გადმოგვაბარეს

ჯერ ერთი ამონარიდი სიმონ ყაუხჩიშვილის წიგნიდან **„რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“**: „სტრაბონის (პირველი საუკუნე) დახასიათებით, ფაზისი დიდი სავაჭრო ქალაქი იყო. აქ თავდებოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მოდიოდა ინდოეთიდან, ჩინეთიდან და რომელსაც კასპიის ზღვით, ალბანეთით და მტკვრით, შორაპანზე გავლით, შავი ზღვის სანაპიროებისკენ მიჰქონდა საქონელი“.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის აზრით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში ფაზისში (ფოთში) დუღდა ცხოვრება, იგი კულტურულ-რელიგიური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური ცენტრი იყო, რაზეც ნათლად მეტყველებს ცნობილი ბერძენი ვაჭრის თემის დაგორის დიდი ხომალდით ჩამოსვლა კოლხებთან სავაჭროდ. იმდროინდელი ბერძენი მოგზაურები და ლოგოგრაფოსები კამოს მილეთელი, ჰეკატე მილეთელი, სკილაკს კარიანოელი აღწერენ ფაზისს (ფოთს), დიოსკურიას (სოხუმს), კავკასიის მთებს, მდინარე ფაზისს (რიონი), ჰოპოს (ცხენისწყალი), ახასიათებენ აქ მცხოვრებ ქართველურ ტომებს: კოლხებს, კორაქსებს, კოლებს, მოსხებს, მაკრონებს, მარებს, მოსინიკებს, ხალიბებს, ეხებიან ფლორისა და ფაუნის თავისებურებებს...

როგორც ცნობილია, კოლხური კულტურა ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში იღებს სათავეს. კოლხიდა კარგად იყო ცნობილი გარე სამყაროსთვის, განსაკუთრებით კი ბერძნებისთვის. იგი გამოირჩეოდა მაღალგანვითარებული ბრინჯაოსა და რკინის წარმოებით, მხატვრული ხელოსნობით, ყველასთვის კარგად არის ცნობილი კოლხური ცულები, თოხები, წალდები, ნამგლები, შუბები და სხვა ნაკეთობები, და მათი იდენტური ყალიბები ვანის ნაქალაქარის, ცაიშის, ყულევის, ჭალადიდის, სენაკის და მდინარე რიონის აუზში მდებარე ტერიტორიებზე არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მოპოვებული ნივთმტკიცებები, რომლებიც იქვე მდებარე გამოფენებსა და მუზეუმებშია დაცული...

როგორც ცნობილია, საქართველოს გაქრისტიანების ხელშემწყობ ფაქტორთა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ქრისტიანულ გარემოს.

ბერძნული წყაროების მიხედვით შავი ზღვის სანაპიროზე არსებობდა ბიჭვინთის, სებასტოპოლის (სოხუმის) და ლაზიკის (ფაზისის) ეპარქიები. მოგვიანებით მათ მიუღია ავტოკეფალიები. ლაზიკის ეპარქიებს სათავეში ედგა ფაზისის მიტროპოლიტი რომელსაც ექვემდებარებოდა: როდოპოლისის, საისინთა, პეტრას და ზიგანევთა (გუდაყვა) ეპარქიები. სებასტოპოლის (სოხუმის) ეპარქია უფრო პატარა იყო და მას დაქვემდებარებული ეპისკოპოსები არ ჰყავდა. ფაზისის მიტროპოლიის ცენტრი იყო ქალაქ ფაზისში (ფოთში), აქ ჰქონდა თავისი ეპარქია ლაზიკის ეპარქიის მიტროპოლიტს...



ქრისტიანობა სწორედ ფაზისში (ფოთში), კულტურის, განათლების, სულიერებისა და ეკონომიკის აღორძინებულ შავიზღვისპირეთის ამ მნიშვნელოვან ცენტრში, გზას უკვალავდა კოლხეთის (ფაზისის) აკადემიის დაარსებასა და საუკუნეების მანძილზე (III-XIII ს.) მის წარმატებულ ფუნქციონირებას. აქ ღებულობდნენ აღზრდასა და განათლებას ქრისტიანობისა და სახელმწიფოებრიობის თვალსაჩინო მოღვაწეები. აღნიშნულის უტყუარი დადასტურებაა ბიზანტიელი ორატორისა და ფილოსოფოსის თემისტიოსის (317-388 წ.წ.) ცნობა ფაზისში (ფოთში) უმაღლესი სკოლის არსებობის შესახებ. დიდი ივანე ჯავახიშვილი ბიზანტიოლოგ ლატიშევის ნაშრომზე დაყრდნობით წერს: „ელინური სწავლა-განათლებისთვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა კოლხეთში და ქვეყანა ელინური კულტურისა და „მუზათა სადგურად უქცევიათ“.

კოლხებს იმ დროისთვის სადღესასწაულო ყრილობებშიც უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭევრმეტყველებით. ასევე ცნობილია თემისტიოსის რჩევა სწავლების მოსურნე ახალგაზრდისადმი, რომელიც მას სატახტო ქალაქ ათენში ან კონსტანტინეპოლში უმაღლესი განათლების მიღებაში დახმარებას სთხოვდა (თემისტეს 27-ე სიტყვა) — მე თავად უმაღლესი განათლება ათენსა და კონსტანტინეპოლში კი არა, ფაზისში მივიღეო.

ამდენად, კოლხეთის (ფაზისის) აკადემია მაშინ ბიზანტიის ანალოგიურ სასწავლებლებთან შედარებით ყველაზე დაწინაურებული გახლდათ. აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მტკიცებით, თემისტე სრულიად ნეიტრალური პირია და აქ სუბიექტივიზმი უნდა გამოირიცხოს, რადგან იგი სრულებითაც არ არის დაინტერესებული კოლხეთში სწავლა-განათლების, აღზრდისა და რიტორიკაში წვრთნის განდიდებით.

ისტორიული წყაროებით ისიც არის ცნობილი, რომ თემისტიოსის მამას ევგენიოსსაც (III ს.) კოლხეთის აკადემიაში მიუღია უმაღლესი განათლება და ამით მამა-შვილი თანაბრად ამაყობდა. ფაზისის (კოლხეთის) აკადემიაში არა ცხენზე ჯირითს, შუბისა და ბადროს ტყორცნას ასწავლიდნენ, მეზობელ ბარბაროსთა მსგავსად, არამედ წვრთნიდნენ რიტორიკულ ხელოვნებაში, ფილოსოფიაში, ისწავლებოდა ქრისტიანული მოძღვრება, საბუნებისმეტყველო დარგები, სავაჭრო საქმე, ამზადებდნენ სამართლის მოღვაწეებს... თემისტიოსი სიამაყით აღნიშნავს: **„მე რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან დაისადგურა და სადაც ვეზიარე ცოდნას „მუზებისა და სიბრძნის ტაძარში“.**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე — ქრისტეს დაბადებამდე — კოლხეთის შავი ზღვის (პონტოს ზღვა) სანაპიროზე არსებობდა ქალაქები: პიტიუნტი (ბიჭვინთა), დიოსკურია (სოხუმი), ფაზისი (ფოთი) და პეტრა (ციხისძირთან). მათგან უპირველესი და მნიშვნელოვანი სანაოსნო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და ეკონომიკური ცენტრი ქალაქი ფაზისი იყო. სხვა ქალაქები უმნიშვნელო და ნაკლებად ცნობილია ბიზანტიურ-ბერძნულ წყაროებში და რომ ფაზისის გარდა კოლხეთში სხვაგან რაიმე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი არსად არ არსებობდა. ამას უტყუარად ადასტურებენ ბერძენი მოაზროვნეების — მამა-შვილის ევგენიოსისა და, განსაკუთრებით, თემისტიოსის ღრმად ფილოსოფიური, ისტორიული წყაროები, რომლებიც ათენის ანტიკური ხანის ხელნაწერთა სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული.

**ამიტომ პოლიტიკური კონიუნქტურითა თუ ბიზნეს-ინტერესებით სხვა ალტერნატივის ძიება ყოვლად გაუმართლებელი და უსაფუძვლოა. რატომ უნდა ვეძიოთ, შევთხზათ და ვამტკიცოთ ისტორიული კოლხეთისადმი ისეთი უპატივცემლო, შეურაცხმყოფელი მოსაზრებები, რომლებიც არც ერთ ისტორიულ წყაროში არ არის მინიშნებული და არსად არ საბუთდება?**

მოურიდებლად ვეტყვი ამ სენითა თუ პოლიტიკური და ბიზნესის ინტერესების დამკვეთებს, პირველ რიგში ვაიმეცნიერებს, რომ **არც საქართველო, არც ქართველი ერი და არც მისი ისტორია დღეიდან, პირველად არ იწყება და ვერც შეიქმნება სუბიექტივიზმის ზეგავლენით, რადგან მას ვერ და არ მიიღებს სახელმძღვანელოდ ქართველი ერი და მართლმადიდებლური დედაეკლესია.**

ყოველივე ზემოთქმულიდან მოკლე დასკვნა:

**ფაზისი (ფოთი) იმ დროისთვის გახლდათ მნიშვნელოვანი სანაოსნო-სავაჭრო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკური ცენტრი მაღალგანვითარებული ტექნიკურ-სამშენებლო აზროვნებით, მეტალურგიით, მწერლობითა და რელიგიურობით. კოლხეთის (ფაზისის) აკადემია, რომელიც დღესაც მოქმედებს, პირველი უმაღლესი სასწავლებელია ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე, რაც დიდ საბჭოთა და პედაგოგიკურ ენციკლოპედიებშიც არის აღნიშნული და დადასტურებული. ფაზისის საერო აკადემია გახლავთ დედააკადემია იყალთოს, გელათის ეროვნული და სხვა სადღეისოდ ფუნქციონირებადი დარგობრივი აკადემიებისა.**

და ბოლოს, წინადადება:

**ფაზისის საერო აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია აყენებს საკითხს ქვეყნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სადირექტივო ორგანოების, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის წინაშე, რომ ქ.ფოთს დაუბრუნდეს ისტორიული სახელი ფაზისი, ხოლო ფოთისა და ხობის ეპარქია იწოდებოდეს ფაზისის სამიტროპოლიტოდ.**

**ნუგზარ ნადარაია,**
საქართველოს ჭყონდიდელცოტნეიდელთა საზოგადოების თავმჯდომარე, ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

# ასეა თუ არა ეს?

უკვე ეს ფაქტები მოწმობს, რომ მემარცხენე იდეოლოგიის არად ჩაგდება, მისი ადგილის უგულებელყოფა, ვთქვათ, მსოფლმხედველობათა საერთო პალიტრაში, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. თუმცა ბევრი ამტკიცებს, რომ კომუნიზმი და მისი იდეა დასამარებულია. სულაც არა!

◎ უახლესი ისტორია



## აჩრდილი ბრუნდება

**ჩამოყალიბდა მტკიცე მოსაზრება, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა დაიშალა, უვადო კრიზისს განიცდის, რომ მსოფლიოში კომპარტიები ერთეულებად შემორჩა და არანაირ როლს აღარ ასრულებენ, რომ მარქსიზმი, როგორც იდეოლოგია მოშლილია, დავიწყებულია და აღარასოდეს აღორძინდება... ასეა თუ არა ეს?**

მინსკში კომპარტიების საერთაშორისო თათბირმა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 90 წლისთავს მიეძღვნა, აჩვენა, რომ კომუნისტურმა იდეოლოგიამ საბჭოთა კავშირის დაშლის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გაქრობის შემდეგ არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა, რომ ახლა იგი, გარდა იმისა, რომ საოცარ „სიცოცხლისუნარიანობას“ ავლენს, კვლავაც აქტიურად მოქმედებს მრავალი სახელმწიფოს ცხოვრებაზე.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ რა შეხედულებები აქვთ დღევანდელ მემარცხენეებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კრახის მიზეზზე. „ჩინური“ მარქსიზმის თვალსაზრისი ასეთია:

„საბჭოთა კავშირის დაშლისა და კომუნისტური პარტიის გადაგვარების კურსი რამდენიმე ათწლეული გრძელდებოდა. სტალინის გარდაცვალების და მისი ფალსიფიცირებული დისკრედიტაციის (1953-1956-1961 წ.წ.) შემდეგ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში შინაგანი გახრწნა, იმ ხელმძღვანელობაში ჩანერგილი გავლენის აგენტების დახმარებით, არსებითად გაადვილდა. პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი და ა.შ. ორიენტირების



უქონლობამ და დისკრედიტაციამ დააჩქარა პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული გადაგვარება.

ადგილებზე ინერგებოდა ნაციონალიზმი ანტიკომუნისტური აქცენტით, საერთო-საკავშირო ხელმძღვანელი სტრუქტურების როლისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, ხოლო რიგითი კომუნისტებისა და თანამოქალაქეებისაგან ხელმძღვანელობის მატერიალური მოწყვეტა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ გარემოებამაც, რომ 1945 წლის გაზაფხულზე ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა ჰიტლერელებს გადასცეს საბჭოთა კავშირში მაშინ ჟერ კიდევ მოქმედი აგენტურის სიები, რომელთაგან ბევრნი სკპ (ბ) წევრები იყვნენ, საბჭოთა კავშირის დაზვერვასა და კონტრდაზვერვაში მუშაობდნენ, იყვნენ კომკავშირული ხელმძღვანელები, პარტორგანიზაციების ხელმძღვანელები, მუშაობდნენ სახალხო კომისარიატებში (მომავალ სამინისტროებში) და ა.შ.

კომუნისტური იდეალები გადაიქცა შირმად, რომელიც ნიღბავდა სოციალიზმისა და პარტიის ფაქტობრივ რღვევას. სწორედ 1961 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში გაჩნდნენ იატაკქვეშა „მილიონერები“, ხოლო მათი რაოდენობა სწრაფად მატულობდა, ამასთან ამ ახალ ბურჟუათაგან ბევრი, თუ უმრავლესობა არა, სკპ (ბ) წევრი ან საშუალო და უმაღლესი დონის პარტიული ხელმძღვანელი და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკიც კი იყო.

ხალხის უმრავლესობასთან, განსაკუთრებით მუშათა კლასთან და გლეხობასთან მმართველი ელიტის კონფრონტაცია, თუნდაც ნახევრად ლეგალური, მკვეთრად და შეუქცევადად გაძლიერდა საბჭოთა ჯარებისა და სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რაზმების მიერ ნოვოჩერკასკში სოციალისტურ ქვეყანაში პირველი მუშათა და გლეხთა დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ. ეს დემონსტრაცია გაიმართა იმის წინააღმდეგ, რომ გაძვირდა სურსათი და გაუარესდა სოციალური პირობები (1962 წლის ივლისი); იგივე, ნაკლები მასშტაბით, გამეორდა 1962-63 წლებში ყარაგანდაში, დონეცკში (სტალინო), ტემირტაუში, ივანოვოში, კემეროვოში, ნორილსკში, მაგადანზე, სახალინზე.

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და კომპარტიის შინაგანი გადაგვარების ამერიკული დოქტრინა, ქვეყანასა და პარტიაში კომპლექსური კრიზისის გამძაფრების კვალობაზე 1953 წლის შემდეგ, უფრო ეფექტიანად ხორციელდებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირისათვის ზიანის მიყენების პოლიტიკა მისი გარე კონფლიქტებზე პროვოცირების გზით და თუნდაც გამალებული შეიარაღება. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ეს დოქტრინა მთლიანად განხორციელდა, უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ 1985-1986 წლებში ასეთი დოქტრინის წარმატებით განხორციელებისთვის საბჭოთა კავშირში და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მთავარი შიდა პირობები 1953 წლის შემდეგ და განსაკუთრებით 1961 წლის შემდეგ შეიქმნა...“ („სსრკ ნგრევისა და სკკპ დაშლის მიზეზები და შედეგები“: სახელმძღვანელო პარტიული, კომკავშირული სწავლებისათვის და სპეციალური მომზადებისათვის ორ ტომად, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმისა და მაო ძედუნის იდეების ინსტიტუტის გამოცემა, პეკინი).

მინსკში გამართულ თათბირზე 90-ზე მეტი კომუნისტური პარტია და მოძრაობა იყო წარმოდგენილი, ასეთი პარტიების საერთო რაოდენობა კი მსოფლიოში ახლა 130-ს აღწევს, ანუ კომპარტიების საერთო რიცხვი 1991 წლის შემდეგ კი არ შემცირდა, როგორც ვარაუდობდნენ, არამედ თითქმის მესამედით გაიზარდა.

დაახლოებით 30 სახელმწიფოში, მათ შორის ზოგიერთ ქვეყანაში, ადგილობრივი კომპარტიები ან მონაწილეობენ მთავრობებში, ან წარმოდგენილი არიან ადგილობრივ საკანონმდებლო სტრუქტურებში, ან ხელმძღვანელობენ კიდეც მათ. მსოფლიოში 1991-2007 წლების განმავლობაში კომუნისტური პრესისა და ლიტერატურის საერთო ტირაჟი ერთიორად და მეტად გაიზარდა.

უკვე ეს ფაქტები მოწმობს, რომ მემარცხენე იდეოლოგიის არად ჩაგდება, მისი ადგილის უგულებელყოფა, ვთქვათ, მსოფლმხედველობათა საერთო პალიტრაში, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. თუმცა ბევრი ამტკიცებს, რომ კომუნიზმი და მისი იდეა დასამარებულია. სულაც არა!

რაში მდგომარეობს ამ ფენომენის მიზეზები, როგორია მისი პერსპექტივები?

მრავალი მიუკერძოებელი ანალიტიკოსის აზრით, გორბაჩოვის ცნობილმა გარდაქმნამ, რომელიც სკკპ-ს და სსრკ-ს უსწრაფესი კრახით დასრულდა, ცხადყო, რომ თანამედროვე პირობებში მემარცხენე იდეოლოგია თეორიულად უფრო ფართო და მრავალფეროვანი უნდა იყოს, და უფრო პრაგმატული პრაქტიკული თვალსაზრისით, რათა დაუპირისპირდეს ახალ დოქტრინებსა და ტენდენციებს, უფრო ზუსტად კი ცხოვრების რეალიებს. სწორედ ეს თემა აღმოჩნდა ლამის ყველაზე მთავარი თემა აღნიშნულ მინსკის თათბირზე.

ერთი მაგალითი. ახლანდელი ანტიგლობალური მოძრაობა ჭეშმარიტად საყოველთაო გახდა. თავის იდეოლოგიურ ბელადებად მიიჩნევენ „შეურიგებელ“ მარქსისტ-კომუნისტებს: სტალინს, მაო ძედუნს, ჩე გევარას და კიმ ირ სენს. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი სოციალურ-პოლიტიკური არსი ბევრად უფრო ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე ადრინდელი და ახლანდელი კომპარტიებისა. მასში მონაწილეობენ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანები. მაგრამ ყველა მომხრეა დაცული იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ტრანსეროვნული გლობალიზაციისგან.

მეტისმეტად საყურადღებო მოვლენაა, თუ გავიხსენებთ, რომ ლენინტროცკის მსოფლიო რევოლუციის თეორია ესეც გლობალიზმია, რომელიც ქვეყნებისა და ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სპეციფიკას უგულებელყოფს.

დრომ და დღევანდელმა მემარცხენეებმა თავიანთი კორექტივები შეიტანეს მოძღვრებაში. თანაც როგორი! თანამედროვე პირობებში, როგორც ანტიგლობალისტებს და კომუნისტებს მიაჩნიათ, საჭიროა არა ინტერნაციონალის მშენებლობა, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვა გლობალიზმის „შიდა“ ადეპტებისაგან, აგრეთვე ბრძოლა ექსპლუატატორთა კლასების წინააღმდეგ. ამასთან, ყოველი პარტია აქ პრიორიტეტებს თავად განსაზღვრავს. მაგრამ საერთო კურსი ერთია: კლასობრივი ბრძოლის და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის შეხამება.

და აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ სტალინი, მაო ძედუნი, ჩე გევარა და კიმ ირ სენი აყენებდნენ და თეორიასა და პრაქტიკაში ახორციელებდნენ აღნიშნულ კურსს, უარი თქვეს რა მსოფლიო რევოლუციის კონცეფციაზე.

პირველი სტალინი იყო. სწორედ მან გამოაცხადა პატრიოტიზმი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი „განუმეორებლობის“ ერთგულება მარქსიზმის შემადგენელ ნაწილად. სწორედ ეს იდეოლოგიური ნოვაცია დაედო საფუძვლად კომუნისტური იდეოლოგიის მეორე აღორძინებას 1991 წლის შემდეგ. და ეს აღნიშნა მრავალმა კომპარტიამ მინსკის თათბირზე.

შეგახსენებთ, რომ სკკპ მე-19 ყრილობაზე 1952 წლის ოქტომბერში სტალინმა ასეთი რამ თქვა:

*„ადრე ბურჟუაზია იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, „ყველაზე მაღლა“ აყენებდა რა ამას. ახლა „ეროვნული პრინციპიდან“ კვალიც კი აღარ დარჩა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია. უეჭველია, რომ ამ დროშის ხელახლა აღმართვა მოგიწევთ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს და მისი ტარება, თუ გინდათ იყოთ თქვენი ქვეყნის პატრიოტები, თუ გინდათ ერის ხელმძღვანელი ძალა გახდეთ“.*

რით არ არის ზემოხსენებული თეზისი ახლანდელი მდგომარეობის დამახასიათებელი არა მხოლოდ რუსეთში! სხვათა შორის, ჯერ კიდევ ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-პოლ სარტრი ამბობდა, რომ „ამ სიახლემ მარქსიზმში გააფართოვა კომუნისტური მოძრაობის სოციალური და იდეური ბაზა. ეროვნული პატრიოტიზმის იდეა სულ უფრო მეტ ხალხის მასებს შეაკავშირებს და პარალელურად უფრო ცხოველუნარიანს და მიმზიდველს გახდის კომუნისტურ იდეოლოგიას“. სხვათა შორის, მსგავსი შეფასებები გამოთქვეს შარლ დე გოლმაც, ფრანცისკო ფრანკომაც, ჩან კაიშიმაც, ხუან პერონმაც, ნერუმაც, სუკარნომაც, სიანუკმაც, რომლებიც სულაც არ იყვნენ კომუნისტები.

დღეს სამხედრო-პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნება მეტად აქტუალურია ევროკავშირის წევრი-ქვეყნებისთვისაც და სხვა განვითარებული სახელმწიფოებისთვისაც, რომლებიც ნატოსა და შეერთებული შტატების მხრიდან სულ უფრო მეტ ზეწოლას განიცდიან. სწორედ ამიტომ ამ ქვეყნებში მატულობს თანამედროვე მარქსისტულ-ანტიგლობალისტური იდეოლოგიის პოპულარობა.

შვედ პოლიტოლოგსა და ისტორიკოსს იუჰან ჰალქვისტს მიაჩნია, რომ „ანტიგლობალისტურ მოძრაობას საძირკველი ჯერ კიდევ 1945 წელს ჩაეყარა: ეს არის საერთაშორისო მოძრაობა მშვიდობისათვის და სსრ კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობის პაქტის ხელმოწერისთვის... კომუნისტები კი ამ მოძრაობაში მხოლოდ მესამედს თუ წარმოადგენდნენ. ანტიგლობალიზმის ახლანდელი იდეოლოგია ბევრად უფრო ფართოა, თუმცა მისი საფუძველი ისევ ადრინდელია: ეროვნული სპეციფიკის დაცვა ტრანსნაციონალური კოსმოპოლიტიზმისაგან... მარქსიზმი კი დღეს გამოსადეგია სოციალურ-ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზისათვის. ასე რომ სწორედ 1940-1950-იანი წლების მიჯნაზე იდეურად და პრაქტიკულად ჩაისახა ის, რასაც დღეს ანტიგლობალიზმი ეწოდება“.

ავიღოთ თუნდაც ჩინეთი, რომელიც კარგა ხანია ლიდერობს მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების ტემპის მიხედვით. „ლიტერატურნაია გაზეტამ“ ამას წინათ დაბეჭდა მასალა ჩინეთის კომპარტიის თანამედროვე იდეოლოგიური კონცეფციის შესახებ, რომელიც სულაც არ ამბობს უარს, როგორც ამას ჩინეთის კომპარტიისა და კორეის სახალხო რესპუბლიკაში უწოდებენ, ჩინური სპეციფიკის მარქსიზმსა და სოციალიზმზე. იქაური ოფიციალური ტერმინოლოგიით კი ეს არის „მარქსის-ენგელსის-ლენინის-სტალინის მოძღვრება, მაო ძედუნისა და დენ სიაოპინის იდეები“. დღეს ჩინელი კომუნისტები თითქმის 90 მილიონი არიან, მათ შორის ბიზნესმენები და საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელები. ჩინეთის კომპარტია 2004 წლიდან „ღიაა“ ბურჟუაზიისთვისაც, ანუ ბიზნესისათვის, რაც, შეგახსენებთ, დამახასიათებელი იყო სკკპ (ბ)-სთვის ნეპის პერიოდში, შემდეგ კი ტიტოს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისათვის. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ჩინეთის კომპარტიაში შესვლის უფლება აქვთ ნებისმიერი კონფესიის მორწმუნეებს. ადრე ასეთი რამ შესაძლებელი მხოლოდ ტიტოს იუგოსლავიის კომუნისტურ კავშირში იყო.

საერთოდ თანამედროვე კომუნისტური მოძრაობა ბევრად უფრო შემრიგებლურად ეკიდება რელიგიას და მზადაა მორწმუნეებთან თანამშრომლობისთვის. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში კათოლიკური ანტისამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც „თეოლოგიურ გათავისუფლებას“ ქადაგებენ, აქტიურად თანამშრომლობენ კომუნისტებთან ვატიკანის მხრიდან აკრძალვის მიუხედავად. ამასთან, ამ ორგანიზაციების ბევრი მონაწი-

# ასეა თუ არა ეს?

„კომუნიზმი ნასესხებია ბიბლიიდან. ამიტომ, ადრე თუ გვიან, კომუნისტებსა და მორწმუნეებს შორის მტრობა შეწყდება, ეს კი გაზრდის კომუნისტური იდეის მნიშვნელობასა და მომხიბვლელობას მოსახლეობის უფრო ფართო მასებისთვის. და, შესაძლოა, ბურჟუაზიის გარკვეული ნაწილისთვისაც კი“

## უახლესი ისტორია

ლე კათოლიკე ბოლო წლებში აქტიურად შედის ადგილობრივ კომპარტიებში. ასეთი კათოლიკური სტრუქტურების საერთო რაოდენობა კი სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე 7 მილიონ კაცს აღემატება. კოლუმბიის მაოისტ რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებშიც კი, რომლებიც ახლა ამ ქვეყნის ტერიტორიის თითქმის მესამედს აკონტროლებენ, მეოთხედზე მეტი დღეს მორწმუნეა.

პრაქტიკულად არც ერთ კომპარტიაში უკვე აღარ არის შეზღუდვები მორწმუნეთა შესვლაზე. მომავალი წლიდან ეს შეზღუდვები ჩრდილოეთ კორეაშიც კი გაუქმდება. მაგალითად, 1960-იანი წლების შუა პერიოდში შექმნილმა კუბის კომპარტიამ თავიდანვე ნება მისცა მორწმუნეებს კომუნისტები ყოფილიყვნენ. ამან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრიდან კრიტიკა გამოიწვია, მაგრამ ჰავანამ თავისი გაიტანა...

ბუნებრივია, რომ ესეც კომუნისტური იდეოლოგიის სოციალური ბაზის არსებითი გაფართოებაა. ცნობილი რუსი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „კომუნიზმი ნასესხებია ბიბლიიდან. ამიტომ, ადრე თუ გვიან, კომუნისტებსა და მორწმუნეებს შორის მტრობა შეწყდება, ეს კი გაზრდის კომუნისტური იდეის მნიშვნელობასა და მომხიბვლელობას მოსახლეობის უფრო ფართო მასებისთვის. და, შესაძლოა, ბურჟუაზიის გარკვეული ნაწილისთვისაც კი“.

როგორც მინსკის კომპარტიების თათბირზე თავის გამოსვლაში აღნიშნა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ გო ეჯოუმ, „ხელმძღვანელობს რა მარქსიზმითა და მისი განვითარებით, მათ შორის ჩინეთის პირობებში, მისი კომუნისტური პარტია ესწრაფვის, სწორი პასუხი გამონახოს თანამედროვეობის გამოწვევებზე, მიილოს და განახორციელოს ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პრობლემების, არამედ ჩინეთის იდეოლოგიის სფეროში მოთხოვნების, შიდა, საგარეო პოლიტიკის ამოცანებისა და საერთაშორისო სიტუაციაში ტენდენციების ადეკვატური გადაწყვეტილებანი. ეროვნული სუვერენიტეტის დაცვა, მსოფლიოს მრავალპოლარულობის შენარჩუნება და მშრომელთა უფლებების უზრუნველყოფა კომუნისტური მოძრაობის მთავარი ამოცანებია. ასე მიაჩნია ჩვენ პარტიას. ჩინეთის, როგორც თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი წამყვანი და დინამიკურად განვითარებადი ქვეყნის როლის შემდგომი განმტკიცება შესაძლებელია, ისევე როგორც წინათ, მარქსისტული მოძღვრების და ჩინური სპეციფიკის სოციალიზმისა და კომუნიზმის შემნებლობის საფუძველზე...“

მინსკის ფორუმზე მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს ვიეტნამის, კუბის, ჩრდილოეთ კორეის, ლაოსის კომპარტიების დელეგაციებმა, რომლებმაც ასევე უმთავრესი ყურადღება მიაპყრეს თავიანთი ქვეყნებისა და პარტიების სპეციფიკას.

საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოცრად სწრაფ რღვევას, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა პოსტსაბჭოთა სივრცეში კომუნისტური იდეოლოგიის პოპულარობაზე, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კომპარტიების მდგომარეობაზე. ყოველივე ამის შედეგად წარმოიქმნა უამრავი პარტია, დაიწყო მათი მუდმივი ურთიერთდავა... და იდეოლოგიური კადრების დეფიციტი იდეური განახლებისთვისაც. ეს ფრაქცია-პარტიები ხან ახდენენ მხოლოდ სტალინის პერიოდის კომპარტიისა და სსრ კავშირის „კანონიზირებას“, ხან, პირიქით, მხოლოდ ლენინისა და ხრუშჩოვის პერიოდისას. ერთი სიტყვით, ვისაც როგორ შეუძლია, ოღონდ იდეოლოგიის სერიოზული განახლების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ეს პარტიები საბჭოთა დროის ძველი მემკვიდრეობით იკვებებიან.

მინსკში აღინიშნა, რომ კონცეფციების და თავად პარტიების ასეთი „ასორტიმენტი“ არ იზიდავს კომუნისტური იდეისკენ ერთ დროს მოძმე რესპუბლიკების პოსტსაბჭოური საზოგადოების ძირითად ნაწილს. ეს კი, კერძოდ, განაპირობებს იმას, რომ კომუნისტები სათანადოდ არ ურთიერთმოქმედებენ ანტიგლობალისტურ მოძრაობასთან, მუშათა, გლეხთა, ახალგაზრდობის, პენსიონერთა ორგანიზაციებთან.

აი, რას ფიქრობს სერგეი მალინკოვიჩი, რუსეთის ერთ-ერთი კომუნისტური ფრაქციის „პეტერბურგელი კომუნისტების“ ლიდერი: „რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში ნამდვილი უთანხმოება და რყევებია, განსაკუთრებით იდეოლოგიური. ხან ქვაკუთხედად აყენებენ „რუსულ საკითხს“, ხან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთოდებს. თანაც საკადრო პოლიტიკისათვის ჩვეული ნომენკლატურული მეთოდებით. ამას შედეგად მოსდევს ურთიერთბრალდებები ნაციონალიზმსა თუ ოპორტუნიზმში. რუსეთის ფედერაციის კომუნისტურ პარტიაში განხეთქილება ბოლო დროს ყოველწლიურად ხდება“.

ასეა თუ ისე, გლობალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და მშრომელთა უფლებების დაცვა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მთავარ ამოცანებადაა გამოცხადებული. და ეს არის თანამედროვე მარქსისტული იდეოლოგიის საფუძველი, რომლის აჩრდილი დღესაც დადის და არა მხოლოდ ევროპაში...“

**ალექსეი ლეონტიევი**
**„ლიტერატურნაია გაზეტა“, № 10.**



## სასამართლო რეფორმა



***საქართველოში სასამართლო რეფორმა გრძელდება. უახლოეს ხანში სხვა სიახლეებთან ერთად ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დაინერგება. პილოტურ ეტაპზე, მსაჯულთა 12-კაციანი შემადგენლობა მხოლოდ თბილისის მასშტაბით სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავს. ექსპერტთა შეფასებით, მართლმსაჯულების განხორციელებაში სამოქალაქო სექტორის ჩართვა მიზნად სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას ისახავს. კონკრეტულად რას წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და რა ფორმით დაინერგება ეს სისტემა საქართველოში? — ამ საკითხებზე სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ზაზა მეიშვილს ესაუბრა.***

# ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი - სამოქალაქო საზოგადოების წვლილი მართლმსაჯულების განხორციელებაში

**— ბატონო ზაზა, რამ განაპირობა საქართველოში ამ სისტემის შემოღება?**

— ეს არის უნიკალური შანსი იმისა, რომ საზოგადოებამ უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს საქმიანობაში, ანუ სამოქალაქო საზოგადოებამ თავად განახორციელოს მართლმსაჯულება და თანაც ამით აიმაღლოს პასუხისმგებლობა. მათ ამით აქვთ უფლება გარკვეული დოზით გაიზიარონ პასუხისმგებლობა მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით.

**— როგორ მოხდება სამოქალაქო საზოგადოების შერჩევა?**

— კრიტერიუმები არის საკმაოდ მარტივი — ერთიანი საარჩევნო სიიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით უნდა შეირჩეს 50 პოტენციური ნაფიცი მსაჯული. მათგან მოხდება გაცხრილვა და საბოლოოდ ერთ საქმეს 12 ნაფიცი მსაჯული განიხილავს. პროექტში, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე განიხილა, ასევე ჩადებულია მხარის მიერ უპირობო აცილების საფუძველი. დაწესებულია გარკვეული შეზღუდვებიც, ანუ ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყოს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, ასევე აკრძალვაა დაწესებული პირზე, რომელიც ბრალდებული იყო, პირზე, რომლის მიერ საჯაროდ გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არაობიექტური გადაწყვეტილების საფუძველი გახდეს. შეზღუდვები ვრცელდება ასევე, სასულიერო პირებზე, იურისტებზე, ფსიქოლოგებზე. გარდა ამისა, პირს აქვს უფლება უარი განაცხადოს ნაფიც მსაჯულობაზე, თუ იგი გადაცილებულია 70 წელს, ან ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული.

**— რამდენად ობიექტური იქნება არაპროფესიონალის მიერ დადგენილი ვერდიქტი?**

— მსაჯულებს არ მოეთხოვებათ საქმის იურიდიულად გარჩევა და ამა თუ იმ კვალიფიკაციის დადგენა. მათ უნდა გამოიტანონ ვერდიქტი და თქვან კონკრეტული პირი დამნაშავეა თუ არა. რა თქმა უნდა, შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის უპირატესობა ის არის, რომ იგი ხალხის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაა. უნდა ვირწმუნოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის საკმაოდ ბრძენი. როდესაც მსაჯულები დადგებიან კონკრეტული გადაწყვეტილების გამოტანის წინაშე, ისინი მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას. მათ კარგად უნდა გააცნობიერონ, თუ რას ნიშნავს უდანაშაულო ადამიანის ციხეში გამოკეტვა, ან პირიქით დამნაშავის თავისუფლებაზე ყოფნა. ეს არის სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის ამაღლების ფანტასტიური შესაძლებლობა.

**— 12-კაციანმა მსაჯულთა შემადგენლობამ რამდენი ხმით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება?**

— ერთსულოვანი გადაწყვეტილება ნაფიცმა მსაჯულებმა 6 საათის განმავლობაში უნდა მიიღონ. თუ ამ პერიოდში პოზიციების შეჯერება ვერ მოხერხდა, ტარდება კენჭისყრა და 10 ხმით განსასჯელი ცხადდება დამნაშავედ. იმ შემთხვევაში, თუ 10 ხმა ვერ მიიღეს, საქმეს მეორე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა განიხილავს, რომლებსაც იგივე პროცედურა აქვთ გასავლელი. თუ მეორე შემადგენლობამაც ვერ მოაგროვა 10 ხმა, ამ შემთხვევაში ბრალდებული ავტომატურად გამართლებულად ითვლება.

**— რა დამცავი მექანიზმებია ჩადებული პროექტში, ანუ იქნებიან თუ არა დაცული ნაფიცი მსაჯულები?**

— ფიზიკური დაცვის თვალსაზრისით, ნაფიცი მსაჯული, ისევე როგორც მონაწილე მხარე, ზეწოლის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო დაცვის საშუალებებით. თუმცა გაცილებით აქტუალურია მეორე მომენტი, თუ რამდენად იქნება დაცული ნაფიცი მსაჯული ფსიქოლოგიური ზემოქმედებისგან. შეიძლება კონკრეტულმა საქმემ გამოიწვიოს არასამთავრობო სექტორის, მასმედიის დაინტერესება და ამან გარკვეული გავლენა მოახდინოს ნაფიცი მსაჯულის გადაწყვეტილებაზე. ეს საფრთხეები ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს, თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას არ იქონიებს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე. დიდ ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა, რომ თუ კონკრეტული საქმის მიმართ არის საზოგადოების მოჭარბებული ინტერესი, ერთი ოლქიდან მოხსნან საქმე და გადაიტანონ სხვა ოლქში. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ასეთი შესაძლებლობა არა აქვს.

**— რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, რამდენად ძვირადღირებულია ეს სისტემა?**

— ნაფიცი მსაჯულის მიერ გაწეული ყველა ხარჯი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ. ეს იქნება ტრანსპორტირების, სასტუმროს, სახელფასო განაცდური თუ სხვა დანახარჯები.

**— ვერდიქტის გასაჩივრების რა პროცედურები არსებობს?**

— ნაფიცი მსაჯულების მხოლოდ გამამტყუნებელი ვერდიქტი შეიძლება გასაჩივრდეს პირდაპირ საკასაციო წესით და იგი არ გადის მეორე ინსტანციას. საკასაციო საჩივარიც მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღება, თუ ვერდიქტის დადგენისას დარღვეული იყო პროცედურული წესები. საკასაციო სასამართლოს მიერ ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში საქმე ბრუნდება კვლავ პირველ ინსტანციაში და მას ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობა განიხილავს.

**— როგორც ცნობილია, პილოტური პროექტის განხორციელება იგეგმება თბილისის მასშტაბით და მხოლოდ 109-ე მუხლთან მიმართებაში. ხომ არ ირღვევა ამით თანასწორობის უფლება?**

— ამ შენიშვნას აქვს საფუძველი. თუმცა, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მასშტაბიდან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ ყველა რაიონში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამოქმედდეს. ამას ჩვენი რესურსი ვერ გაწვდება. ამიტომ ვგეგმავთ, რომ პირველად ეს დაიწყოს ყველაზე დიდ ადმინისტრაციულ ერთეულში, ანუ თბილისში. გარდა ამისა, გამორიცხულია, რომ ყველა საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ. მაგალითად, გასულ წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 18 ათასამდე საქმე განიხილეს, რასაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა ვერ გაწვდება, ეს არარეალურია.

ესაუბრა
**მირიან ბოქოლიშვილი**

# უცხოური პრესა

● ნატოში შესვლის მსურველ საქართველოსთან და უკრაინასთან დაკავშირებული სიტუაცია ემუქრება ევროპის უშიშროებას, მიაჩნია ახლად არჩეულ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველოსა და უკრაინის ნატოში შესვლა ევროპას ემუქრება

**ნატოში შესვლის მსურველ საქართველოსთან და უკრაინასთან დაკავშირებული სიტუაცია ემუქრება ევროპის უშიშროებას, მიაჩნია ახლად არჩეულ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს.**

„საქართველოსთან და უკრაინასთან დაკავშირებული ამბები არ გვახარებს. ეს მეტად არასასიამოვნოა ევროპის უშიშროების არსებული კონსტრუქციისათვის“, – თქვა მედვედევმა ბრიტანეთის გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც კრემლის პრესსამსახურმა გაავრცელა. ნატოში შესვლისთვის მოქმედების გეგმასთან უკრაინისა და საქართველოს შეერთების საკითხს აპრილში ორგანიზაციის სამიტზე განიხილავენ.

„საერთოდ მინდა ვთქვა, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იქნება კმაყოფილი იმით, რომ მის საზღვრებს სამხედრო ბლოკი უახლოვდება, რომელშიც თვითონ არ მონაწილეობს. ავიღოთ თუნდაც უკრაინა, რომლის მოსახლეობა ნატოში შესვლის კატეგორიულად წინააღმდეგია, ხოლო მთავრობა სხვა პოლიტიკას ახორციელებს. სწორედ ეს არის რეალური დემოკრატიის საკითხი. ასეთ სიტუაციებში რეფერენდუმი მაინც უნდა გაიმართოს“, – აღნიშნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა. რუსეთის მოქმედ პრეზიდენტსა და შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს შორის შეთანხმების ხელმოწერის შესაძლებლობის შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემისას მედვედევმა თქვა: მუშაობა გრძელდება, ექსპერტები მუშაობენ, მუშაობენ საგარეო საქმეთა სამინისტროების, თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლები. ბუნებრივია შეიძლება სრულიად განსხვავებული წინადადებები გვქონდეს ჩვენც და ამერიკელებსაც.

მისი თქმით, პუტინსა და ბუშს ძალიან კარგი პირადი ურთიერთობა აქვთ. „ვფიქრობ, ეს ურთიერთობა რომ არა, დღეს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა ალბათ ბევრად უფრო რთული იქნებოდა. ეს, სხვათა შორის, ვუთხარი პრეზიდენტ ბუშს სატელეფონო საუბრის დროს, როცა დამირეკა და მომილოცა 2 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება“, – აღნიშნა მედვედევმა.

НОВОСТИ



## აფხაზეთი საქართველოს ნატოში ეპატიჟება

**თვითაღიარებული** **აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა არ გამორიცხავს, რომ ბუქარესტში ნატოს აპრილის სამიტზე შეიძლება ამოქმედდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს მიღების პროცედურა, ეს მან განაცხადა ორშაბათს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე. აშუბამ გაზეთ „ვზგლიადს“ გაანდო, რომ ასეთი სიტუაცია ხელს აძლევს მის რესპუბლიკას.**

1992 წლის აგვისტოში დაწყებულმა აფხაზურ-ქართულმა მტრობამ შედეგად მოგვცა ის, რომ უახლოეს ასწლეულებში ეს ორი ხალხი ვერ გაერთიანდება. ეს განაცხადა მოსკოველ ჟურნალისტებთან შეხვედრისას აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ნუგზარ აშუბამ. „სამწუხაროდ, ჯერჯერობით მტრებად დავრჩებით“, – აღნიშნა სპიკერმა. ეთნოსებს შორის ურთიერთობა, მისი თქმით, შეიძლება მეტ-ნაკლებად გამოსწორდეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ საქართველო თავისი ყოფილი ავტონომიის დამოუკიდებლობას აღიარებს. „ერთ ქვეყანაში ცხოვრება ვცადეთ და არ გამოვიდა. მეტს აღარ ვცდით“, – ირწმუნება ნუგზარ აშუბა.

პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ რვაწელიწადნახევრის განმავლობაში, რომელიც აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაციის მიღების მომენტიდან გავიდა, რესპუბლიკაში ოთხჯერ გაიმართა საპარლამენტო და ორჯერ საპრეზიდენტო არჩევნები. „ჩვენ საკუთარ დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, – თქვა თვითაღიარებული სახელმწიფოს პარლამენტის სპიკერმა. – საკუთარ საქმეებში აბსოლუტურად სუვერენულები ვართ. თვითგამორკვევაც მოვახდინეთ. ეს ნებისმიერი ხალხის უფლებაა. ჩვენმა ხალხმა ისარგებლა ამ უფლებით“.

ისარგებლა რა თვითგამორკვევის უფლებით, აფხაზეთი, რესპუბლიკის დეპუტატის თქმით, არ აპირებს სადავო გახადოს ნატოში საქართველოს შესვლის სუვერენული უფლება. გაზეთ „ვზგლიადის“ კითხვებზე პასუხის გაცემისას ნუგზარ აშუბამ არ გამორიცხა, რომ შეიძლება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში თბილისის მიღების პროცედურა დაიწყოს ნატოს სამიტზე, რომელიც 2-დან 4 აპრილამდე გაიმართება ბუქარესტში.

სამხედრო კავშირის წესების თანახმად მისი წევრი ვერ გახდება ქვეყანა, რომელსაც გადაუჭრელი ტერიტორიული პრობლემები აქვს. თუმცა საქართველოსთვის, გაიხსენა აშუბამ, მსოფლიო გაერთიანებამ ერთხელ უკვე დაუშვა გამონაკლისი, 15 წელზე მეტი ხნის წინათ თბილისი გაეროში მიიღეს, დახუჭეს რა თვალი ამიერკავკასიაში გაჩაღებულ ქართულ-აფხაზურ ომზე. „ქართველებს ძალიან კარგი პატრონი ჰყავთ – შეერთებული შტატები, რომელსაც დიდი გავლენა აქვს“, – განმარტა აფხაზეთის პარლამენტის მეთაურმა.

სხვათა შორის, ნატოში საქართველოს შესვლა აფხაზებს სავსებით ხელს აძლევს. ნუგზარ აშუბამ გაზეთ „ვზგლიადს“ უთხრა, რომ ასეთ ამბავს კმაყოფილებით ხვდება. სამი დღის წინათ ხომ რუსეთის პარლამენტარებმა მიიღეს განცხადება, რომელშიც მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას შეუძლია წამოაყენოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „სუვერენიზაციის პროცესის დაჩქარების“ ინიციატივა.

„რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, ვინმეს ერთბაშად რომ მიეღო გადაწყვეტილება ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე“, – თქვა ნუგზარ აშუბამ. თუმცა აფხაზეთის პოზიციაზე უფრო დიპლომატიური რუსეთის კანონმდებლების განცხადება მათმა აფხაზმა კოლეგამ დადებითად შეაფასა. გარდა ამისა, აშუბამ მადლობა გადაუხადა სამშვიდობოებს. პარლამენტარის თქმით, თუმცა სამშვიდობო ძალები, რომლებიც ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთისგან იცავენ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას წარმოადგენენ, არსებითად იქ მხოლოდ რუსი ჯარისკაცები მსახურობენ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტარები აფხაზი კოლეგების აზრს არ იზიარებენ. უახლოეს დღეებში ისინი აპირებენ მიიღონ განცხადება ქართულ-აფხაზური ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ. თბილისის აზრით, დოკუმენტით, რომელიც პარასკევს მოიწონა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ, ჩვენმა ქვეყანამ ფაქტობრივად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარე დაიჭირა. „ცისფერჩაფხუტიანებმა“ კი ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნონ.

„რუსეთს ერთის მხარე არ დაუჭერია“, – დარწმუნებულია ნუგზარ აშუბა. მისი თქმით, აფხაზებიც „ნაწყენი დარჩნენ“ ჩვენს ქვეყანაზე, როცა საქართველოს ჯარები კოდორის ხეობაში შეუშვეს.

„ჩვენც და თქვენც, პატივცემულო ქართველებო, მათ მადლობა უნდა გადავუხადოთ. რუსებმა, რუსმა სამშვიდობოებმა 108 ახალგაზრდა დაკარგეს. ძალიან ძვირი დაუჯდათ ის, რომ ჩვენ და თქვენ ერთმანეთს არ დავერიოთ“, – ასე მიმართა თბილისს ნუგზარ აშუბამ.

ამასთან, აფხაზი კანონმდებელი დარწმუნებულია, რომ ქართველებსა და აფხაზებს მშვიდობის ალტერნატივა არ აქვთ. „ჩვენ მეზობლები ვართ, მეზობლებმა კი მშვიდობიანად უნდა იცხოვრონ“, – შეახსენა ქართველებს აშუბამ, ამასთან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მის ქვეყანას მხოლოდ სუვერენიტეტის იმედი აქვს.

**ირინე რომანჩევა**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## მოსკოვმა საყვედური გაფრთხილებით მიიღო

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პასუხი გასცა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ინიციატივას, რომლებმაც 21 მარტს გააკეთეს განცხადება „აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის მიმართ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის შესახებ“.**

დოკუმენტი, რომელსაც 450 პარლამენტიდან 441-მა დაუჭირა მხარი, შეიცავს წინადადებას პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი განიხილონ თვითაღიარებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების მიზანშეწონილობის საკითხი.

თბილისმა სახელმწიფო სათათბიროს ინიციატივა საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს სუვერენიტეტის აღმაშფოთებელ დარღვევად მიიჩნია. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია განცხადების ორმა პუნქტმა. უწინარეს ყოვლისა, თავად მზადყოფნის დეკლარაციამ, რომ აღიარონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რაც „სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის კიდევ ერთ ცდას წარმოადგენს“. საქართველო ამას საერთაშორისო სამართლის პრინციპების, გაეროს წესდებისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციების დარღვევად მიიჩნევს. „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს განცხადება ეწინააღმდეგება ყველა ამ დოკუმენტს“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში. თბილისი მიმართავს საერთაშორისო გაერთიანებას და სთხოვს ადეკვატური შეფასება მისცენ რუსეთის მოქმედებას და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ რეგიონში დაძაბულობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად.




საქართველოსთვის აღმაშფოთებელი მეორე მომენტი იყო განცხადების ის ნაწილი, რომელიც ეხება კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის შენარჩუნებას. პრეზიდენტისა და მთავრობისადმი თავიანთ მიმართვაში რუსი პარლამენტარები ითხოვენ „განიხილონ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის უზრუნველმყოფი ძალების პოტენციალის გაძლიერების შესაძლებლობა, აგრეთვე განახორციელონ ამ რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისთვის გამიზნული სხვა ღონისძიებანი“.

თბილისში სამშვიდობო კონტინგენტის გაძლიერების შესახებ ლაპარაკი ეჭვს იწვევს: ნებისმიერ მოძრაობაში სუვერენიტეტისადმი მუქარა ელანდებათ. ამჯერად საქართველოს ხელისუფლებამ საერთოდ განაცხადა, რომ „ახალი შეიარაღებული ძალების ჩანაცვლებასთან ან სამშვიდობოთა რაოდენობის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ნაბიჯი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის აქტად“ იქნება მიჩნეული.

თავად თვითაღიარებულ რესპუბლიკებში რუსეთის ინიციატივას აღტაცებით შეხვდნენ. „აფხაზეთის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს განცხადებას მეტად დადებითად ვაფასებთ. ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის აღიარებისკენ, – თქვა აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ნუგზარ აშუბამ. – ჩვენ ნამდვილად ვიმსახურებთ აღიარებას ყოველგვარი პირობის გარეშე“.

**ალექსანდრე სტარკოვი**

Утро.ru

№ 56. ოთხშაბათი, 26 მარტი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● ყველაზე დიდი სამხედრო ხარჯები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, რა თქმა უნდა, რუსეთს აქვს – 34 მილიარდი. გაზეთ „დელოს“ თქმით, ეს მაჩვენებელი საკმარისზე მეტად მოკრძალებულია, მსოფლიოში არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით. შედარებისათვის კი საფრანგეთი მოჰყავთ, რომლის სამხედრო ხარჯი 53 მილიარდ შეადგენს



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ოქრუაშვილის საქმე გრძელდება

**თბილისის სასამართლოს 24 მარტს უნდა გამოეტანა დაუსწრებელი განაჩენი საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრისთვის ირაკლი ოქრუაშვილისთვის, რომელიც ამჟამად საფრანგეთში იმყოფება. ბრალდება დაბეჯითებით მოითხოვდა 13 წლის პატიმრობის მისჯას.**

შერისხული პოლიტიკოსის საქმის დასრულებას ხელი შეუშალა ოპოზიციის მასობრივმა აქციამ, რომელიც თბილისის ცენტრში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის და ტელეარხ „იმედის“ კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნების მოთხოვნით გამოვიდა.

„ოქრუაშვილის საქმის თაობაზე“ ეს სასამართლო სხდომა დასკვნითი უნდა ყოფილიყო. სახელმწიფო ბრალდებამ მოითხოვა ყოფილი თავდაცვის მინისტრი ბრალდებულად ეცნოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ერთბაშად ოთხი მუხლით და მისთვის 13 წლით პატიმრობა მიესაჯათ. სანამ პროკურორები მკაცრი განაჩენის აუცილებლობას ასაბუთებდნენ, სასამართლოს ფანჯრებთან პროტესტს გამოხატავდა დევნილი ოპოზიციონერის რამდენიმე ასეული მომხრე. ისინი გაჰყვიროდნენ მის მხარდამჭერ ლოზუნგებს და ეჭირათ პლაკატები წარწერით: „შეწყვიტეთ სამსჯავრო“, „თავისუფლება ირაკლი ოქრუაშვილს“, „შეწყდეს ჭეშმარიტი პატრიოტის დევნა“. თავისი პროტესტი გამოხატა ექს-მინისტრის ადვოკატმა ეკა ბესელიამაც, რომელმაც უარი თქვა დასწრებოდა განაჩენის გამოცხადებას, უწოდა რა პროცესს „პოლიტიკური“. ფორმალობის დაცვის მიზნით სასამართლომ ბატონ ოქრუაშვილს სახელმწიფო ადვოკატი დაუნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ წინა დღით განსასჯელმა პარიზიდან გამოგზავნა განცხადება, რომელშიც სახელმწიფო დამცველების მიმართ უნდობლობა გამოხატა.

ამასობაში, პროტესტების მიუხედავად, არავის, მათ შორის ქალბატონ ბესელიასაც, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სასამართლო დაეთანხმებოდა პროკურორების დასკვნებს. „არანაირი იმედი არ გვაქვს იმისა, რომ განაჩენი სამართლიანი იქნება. ჩვენ მას გავასაჩივრებთ როგორც სააპელაციო სასამართლოში, ისე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. ამით ვაჩვენებთ, რომ საქმე პოლიტიკურია და ოქრუაშვილმა პოლიტიკური თავშესაფარი უნდა მიიღოს საფრანგეთში“, – უთხრა „კომერსანტს“ თავისი გეგმების შესახებ ბატონი ოქრუაშვილის ადვოკატმა.

მაგრამ, როცა დადგა განაჩენის წაკითხვის დრო, სასამართლომ ეს არ გააკეთა და გავიდა. მოგვიანებით სასამართლოს პრესსამსახურმა განაცხადა, რომ სხდომა 26 მარტისთვის გადაიდო, ვინაიდან სახელმწიფო დამცველებმა დრო მოითხოვეს საბოლოო სიტყვის მოსამზადებლად. ეს ცნობა დროში თითქმის დაემთხვა თბილისის ცენტრში ოპოზიციის მასობრივ საპროტესტო აქციას, სადაც პარლამენტის შენობასთან დაახლოებით 10-15 ათასი კაცი შეიკრიბა. „ჩვენ ადრინდელ მოთხოვნებს ვაყენებთ – ეს არის სააკაშვილისა და ბურჯანაძის გადადგომა და ახალი საპრეზიდენტო არჩევნების გამართვა“, – განაცხადა ოპოზიციური მოძრაობის „ჩვენ თვითონ“ ლიდერმა პაატა დავითაიამ. მან ასევე მოითხოვა, რომ ხელისუფლებამ ტელეარხი „იმედი“ კანონიერ მფლობელებს, კერძოდ კი მისი დამაარსებლის აწ განსვენებული ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს დაუბრუნოს.

გამორიცხული არ არის, რომ სასამართლო სხდომის ფინალური ნაწილის მოულოდნელად გადატანა რუსთაველის პროსპექტზე მიტინგთან იყოს დაკავშირებული. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ გადაწყვიტა მრავალათასიანი აქციისთვის არ მიეცა გაღიზიანების ზედმეტი საბაბი, როგორიც შეიძლება ირაკლი ოქრუაშვილის განაჩენი გამხდარიყო. მით უმეტეს, ექს-მინისტრი იცნობდა ბადრი პატარკაციშვილს, ხოლო თავისი ოპოზიციური საქმიანობა დაიწყო იმით, რომ შარშან შემოდგომაზე ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტ სააკაშვილს ბრალი დასდო ბიზნესმენის დაგეგმილ მკვლელობაში. სექტემბრის მხილებების შემდეგ, რამაც საქართველოში გაჭიანურებული პოლიტიკური პროცესის პროვოცირება მოახდინა, ბატონი ოქრუაშვილი კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს. ერთი კვირის შემდეგ მან ტელევიზიით მოინანია და მიხეილ სააკაშვილის წინაალმდეგ ყველა ბრალდება უარყო. ამის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი 6 მილიონი დოლარის გირაოთი გაათავისუფლეს და რამდენიმე ხანს ის თბილისში იმყოფებოდა, თუმცა კატეგორიულად უარს ამბობდა ურთიერთობას პრესასთან და ყოფილ თანამებრძოლებთან. შემდეგ მას გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრების ნება მისცეს და უკვე პარიზიდან, სადაც თავი უსაფრთხოდ იგრძნო, ექს-მინისტრმა კვლავ გაიმეორა თავისი ბრალდებები პრეზიდენტ სააკაშვილის მისამართით.

თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ექს-მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა მონაწილეობა მიეღო პარლამენტის არჩევნებში, რომელიც ერთ თვეში გაიმართება. თუმცა, თუ მას საბრალდებო განაჩენს გამოუტანენ, ბატონი ოქრუაშვილი დაკარგავს საპარლამენტო კამპანიაში მონაწილეობის უფლებას. საქართველოს კანონების თანახმად ხელისუფლების ორგანოებში კენჭისყრის უფლება აქვს ეჭვმიტანილს, ძიებაში მყოფს და განსასჯელსაც კი, მაგრამ არა მსჯავრდებულს.

**ვლადიმერ ნოვიკოვი, ევგენი გოსპოდინოვი**

Коммерсантъ

## თბილისში მოითხოვენ, რომ „იმედი“ ბადრის ქვრივს გადასცენ




**თბილისის ცენტრში რუსთაველის პროსპექტზე ქართული საზოგადოებრიობისა და ოპოზიციის მომხრეთა მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა მოთხოვნით, დაუბრუნონ ტელეკომპანია „იმედი“ ადრინდელ მფლობელებს.**

აქციამ, რომელზეც ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები – ქართული თეატრების მსახიობები, მეცნიერები და სპორტსმენები გამოვიდნენ რამდენიმე საათს გასტანა, შემდეგ კი გვიან საღამოს, რუსთაველის პროსპექტზე მოშიმშილე ოპოზიციური პარტიების წევრთა მოწოდებით სახელმწიფო კანცელარიისა და პარლამენტის შენობის ირგვლივ პიკეტში გადაიზარდა.

ორატორებმა ხელისუფლებას მოუწოდეს „ტელკომპანია “იმედი“ დაუბრუნონ ქართველ ხალხს“, ხოლო ოპოზიციის მომხრეებს – მიუსხდნენ მთავრობასთან მოლაპარაკების მაგიდას და არ დაუშვან ქვეყანაში კონფლიქტების გამწვავება. მიტინგის შემდეგ თეატრალურ მოღვაწეთა ჯგუფი პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან გაემართა, იკისრა რა შუამავლის როლი ხელისუფლებისა და ოპოზიციის ლიდერთა დაპირისპირებაში. შეხვედრის მონაწილეებმა ბურჯანაძეს მოსთხოვეს ტელეარხ „იმედის“ და პარლამენტში მაჟორიტარული არჩევნების სისტემის შეცვლის საკითხთა გადაჭრა. როგორც შეხვედრის შემდეგ რეჟისორმა გოგი ქავთარაძემ განაცხადა, „ბურჯანაძესთან შეხვედრა დასრულდა იმით, რომ მან მომავალი დღის საღამომდე ითხოვა დრო“.

ამასობაში პარლამენტის შენობის კიბეებთან, სადაც 32 კარავია გაშლილი, მეთექვსმეტე დღეა გრძელდება ოპოზიციის ლიდერებისა და მათი მომხრეების შიმშილობა. შიმშილობაში 60-კაცზე მეტი მონაწილეობს. ბოლო დღეებში ბევრის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

**ქეთი ბოჭორიშვილი**

BBC RUSSIAN.com

◎ შეიარაღება

## გამოქვეყნდა მსოფლიოში მიმდინარე საომარ ოპერაციებში დახარჯული თანხების რაოდენობა

**ჩვენს პლანეტაზე მიმდინარე საომარ ოპერაციებში მსოფლიომ გასულ წელს ტრილიონ დოლარზე მეტი დახარჯა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ არსებული მონაცემი მზარდია და 2000 წლიდან მოყოლებული მსოფლიოს მასშტაბით შეიარაღებასა და საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის დახარჯული თანხები, თითქმის, გაორმაგდა.**

ექსპერტთა თქმით, თანხების გაორმაგებას ტერორიზმთან გახანგრძლივებული ომები, სამხედრო ტექნიკის საფასურის მუდმივი ზრდა, სამხედრო მოსამსახურეთა მომზადებისა და აღჭურვის ხარჯები და სხვა მიზეზები აქვს.

ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს. სწორედ, ამერიკაზე მოდის თავდაცვისათვის დახარჯული იმ თანხის ნახევარი, რასაც მსოფლიო ხარჯავს. მაგალითად, გასულ წელს თეთრმა სახლმა ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებისათვის 546 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო.

მსოფლიო შეიარაღების ბაზარი ასევე აგრძელებს განვითარებას. 2002-2006 წლების პერიოდში წელიწადში იარაღის ექსპორტი მსოფლიო მასშტაბით ორჯერ გაიზარდა. მსოფლიო სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა გამოთქვამს რთული და მაღალტექნოლოგიური სამხედრო სისტემების შეძენის სურვილს და ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან მსოფლიოში ამჟამად 15 მსხვილი შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობს და 21 ცხელი წერტილი არსებობს, რომელიც, შესაძლოა, ახალ ომში გადაიზარდოს.

მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტთაგან მესამედი აფრიკაში მიმდინარეობს; აზიაში – ოთხი, ლათინურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში – ორ-ორი და ევროპაში – ერთი (ჩეჩნეთი).

ექსპერტთა შეფასებით, აზია მიმართულია მაღალტექნოლოგიური იარაღის შეძენისკენ. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების სამხედრო დანახარჯებმა 2007 წელს 175 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ეს დანახარჯები 200-250 მილიარდ დოლარს შეადგენს.

მკვეთრად იზრდება ასევე დსთ-ში შემავალი ცენტრალური აზიის რესპუბლიკების სამხედრო ხარჯები. „როსიისკაია გაზეტას“ ინფორმაციით, მათ მიერ თავდაცვისუნარიანობაზე გამოყოფილი ხარჯები დაახლოების პროცენტით აპირებს გაზრდას.

ამ მიმართულებით ყაზახეთი ლიდერობს, რომელმაც დანახარჯები შეიარაღებული ძალებისათვის ჯერ კიდევ 2006 წელს სამჯერ გაზარდა და პირველად ქვეყნის ისტორიაში მილიარდის ნიშნულს გადააჭარბა და 1.22 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი ყველაზე დიდია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

მეორე ადგილზე ამ მაჩვენებლის მიხედვით უზბეკეთია – 900 მილიონი დოლარით, მესამეზე კი თურქმენეთი – 116 მილიონით.

ყველაზე დიდი სამხედრო ხარჯები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, რა თქმა უნდა, რუსეთს აქვს – 34 მილიარდი. გაზეთ „დელოს“ თქმით, ეს მაჩვენებელი საკმარისზე მეტად მოკრძალებულია, მსოფლიოში არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით. შედარებისათვის კი საფრანგეთი მოჰყავთ, რომლის სამხედრო ხარჯი 53 მილიარდ შეადგენს.



უკრაინის სამხედრო ხარჯები 2 მილიარდია, თუმცა სრულიად შესაძლებელია უახლოეს მომავალში ეს მაჩვენებელი გაიზარდოს, რადგანაც ამ ინიციატივით უკვე გამოვიდა პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, რომელმაც მხარი დაუჭირა სამხედრო ხარჯების 4 მილიარდამდე გაზრდას.

# ჩვენი კალენდარი

● „300 წლის“ ეილერს ევროპასა და ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში 2000-ზე მეტი შთამომავალი მოეძიება. იმათ რიცხვში თბილისის მკვიდრნიც არიან: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, ბიოფიზიკოს თამარ სანიკიძის (მეუღლე — ფიზიკოსი ზურაბ შარაშენიძე) ბებიას — მამის დედას — თურმე უშუალოდ ებჯინება მემკვიდრეობითი ესტაფეტა



◎ თარიღი

## აზროვნების ბუმბერაზი ბაზელიდან

**უდიდესი შვეიცარიელი სწავლულის ლეონარდ ეილერის დაბადებიდან 300 წელი შესრულდა. ეს კაცი ნიუტონივით სასწაულად მოევლინა კაცობრიობას და აკი სწორედ ინგლისელი გენიოსივით მოიხსენიებენ „მრავალდაზგოვნად“ — როგორც მათემატიკოსს, მექანიკოსს, ფიზიკოსსა და ასტრონომს.**

მეცნიერების არაერთ დარგს ეილერმა 865-ზე მეტი დასახელების ნაშრომი მიუძღვნა, მათს რიცხვშია რამდენიმეტონიანი მონოგრაფიები; საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე ახალ დისციპლინას ან უკვე არსებულებში გაკვალა ახალი მიმართულებები; სწავლულის სიცოცხლეში (76 წლისა გარდაიცვალა) მისი „მხოლოდ“ 550-მდე შრომა გამოქვეყნდა; შვეიცარიაში 1909 წელს დაიწყეს 72 ტომზე გათვლილი ეილერის თხზულებათა სრული ნაკრების დასტამბვა და მგონი დღესაც ვერ დაუსრულებიათ...

თუნდაც 16 წლის ასაკიდან რომ ვუანგარიშოთ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება, წელიწადში საშუალოდ 15 გამოკვლევა გამოუდის (თანაც ეილერისეული და არა „რიგითი“!)

რასაკვირველია, ასეთ ზღაპრულ პროდუქტიულობას კვლევის არაჩვეულებრივი უნარის, გამაოგნებელი ალღოს, ფენომენური მეხსიერების, ფანტასტური გამოთვლითი ხელოვნებისა და იშვიათი შრომისმოყვარეობის ხარჯზე ახერხებდა. ეილერის სამეცნიერო მიმოწერა თანამედროვეებთან მოიცავს 3000-ზე მეტ ბარათს და მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული, ხოლო ფილოსოფიური ნაწარმოები „წერილები ერთ გერმანელ პრინცესას“ 3 ტომს გასწვდა და სხვათა შორის, სიტყვაკაზმულობის ნიმუშად არის მიჩნეული!

განსაცვიფრებელი ისიცაა, რომ სიცოცხლის ბოლო 15 წლის მანძილზე სრულიად დაბრმავებული ქმნიდა შესანიშნავ შრომებს და ზეპირად უკარნახებდა ჩასაწერად მრავალრიცხოვან შთამომავლებს, მდივნებსა თუ თანაშემწეებს (როგორ არ გავიხსენოთ აქ სხვა გენიოსი — ბეთჰოვენი, რომელიც აბსოლუტურად დაყრუებული ქმნიდა მუსიკალურ შედევრებს).

„ეილერით“ იმდენი მათემატიკური ცნებაა სახელდებული, რომ საეჭვოა მათემატიკის ისტორიაში მისი ბადალი „ნათლია“ მოიძებნოს: ეილერის რიცხვები, ეილერის მუდმივები, ეილერის კუთხეები, ეილერის ფორმულები, ეილერის ტოლობები, ეილერის თეორემები, ეილერის ჩასმები, ეილერის ფუნქციები, ეილერის ინტეგრალები, ეილერის განტოლებები... უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ მათემატიკურ სამყაროში. ერთი საგულისხმო ფაქტი: 1775 წელს პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ, რომელსაც თავისი უცხოელი წევრების რიცხვი 8 „გაყინული“ ჰქონდა, საფრანგეთის მთავრობის თანხმობითა და სტატუსის გვერდავლით ის მეცხრე წევრად აირჩია!

„იკითხეთ, იკითხეთ ეილერი — ყველა ჩვენგანის მასწავლებელი“ — ასე მოძღვრავდა მოწაფეებს დიდი ლაპლასი; „ამის ნახვა ეილერთან შეგიძლიათ“ — აკვალიანებდა ახალგაზრდებს დიდი ლაგრანჟი. „ეილერმა შეწყვიტა სიცოცხლე და გამოთვლები“ — ასე ამცნო კოლეგებს დიდი სწავლულის გარდაცვალება ფრანგმა მათემატიკოსმა კონდორსემ (ეილერი პეტერბურგში აღესრულა, რომლის მეცნიერებათა აკადემიის მშვენება და დიდება ათეული წლობით იყო; იქვეა დაკრძალული; სხვათა შორის, უშუალოდ სიკვდილის წინ დაამთავრა აეროსტატის ფრენის გათვლა, უქნელეს ინტეგრებასთან დაკავშირებული...).

... პატარა შვეიცარიის ქალაქმა ბაზელმა, სადაც ეილერი დაიბადა, ამ ბუმბერაზ მეცნიერთან ერთად მოგვცა მათემატიკოსი ბერნულების მთელი დინასტია (ცნობიერებაში რვა ბერნულის ვხვდებით!). მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული, იოჰანი, გახლდათ ლეონარდის მასწავლებელი...

საქართველოს მათემატიკოსთა და მექანიკოსთა კავშირმა ღირსშესანიშნავ იუბილეს საგანგებო სხდომა მიუძღვნა. ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში გამართულ შეკრებაზე ეილერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს ჯონდო შარიქაძემ, ნოდარ მახვილაძემ, გურამ გოგიშვილმა, თამაზ ვაშაყმაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა. სხვათა და სხვათა შორის, ასეთი საგულისყურო ამბავიც გახმიანდა: „300 წლის“ ეილერს ევროპასა და ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში 2000-ზე მეტი შთამომავალი მოეძიება. იმათ რიცხვში თბილისის მკვიდრნიც არიან: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, ბიოფიზიკოს თამარ სანიკიძის (მეუღლე — ფიზიკოსი ზურაბ შარაშენიძე) ბებიას — მამის დედას — თურმე უშუალოდ ებჯინება მემკვიდრეობითი ესტაფეტა. ახლანდელი გიორგი ლეონიძის ქუჩის დასაწყისში მდებარე აფთიაქის მეპატრონენი გასული საუკუნის დასაწყისში ეილერის შთამომავალნი ყოფილან... ამრიგად, ახლა ასეთებად უნდა ჩავთვალოთ ქალბატონი თამარისა და ბატონი ზურაბის სამი ვაჟიც — ალექსანდრე, კონსტანტინე და გუბაზ შარაშენიძეები...

დავასრულებ საქართველოს მათემატიკოსთა და მექანიკოსთა კავშირის პრეზიდენტის, პროფესორ ჯონდო შარიქაძისადმი პატარა ქათინაურით: ეს მისი ენთუზიაზმით, მონდომებით, ისტორიული ხსოვნის ერთგულებითაა, რომ კავშირი სისტემატურად ახერხებს ღირსსახსოვარი თარიღების გამოხმაურებასა თუ სხვა საიუბილეო ღონისძიებების მოწყობას, რაც განსაკუთრებით დასაფასებელი და სულიერების გამომაცოცხლებელია ინტელექტუალურ ღირებულებათა გაუფასურებისა და გაფერმკრთალების ჩვენს მძიმე ხანაში...

**თამაზ ებანოიძე**

---

საქმე №2/2748-07

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### საქართველოს სახელით

12 მარტი, 2008 წ. ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე სოფიო მაჭავარიანმა, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა საქმე:**

**მოსარჩელე — ნანული აბურჯანია**

**წარმომადგენელი — ნონა ესართია**

**მოპასუხე — გრიგოლ პოლიკაშვილი**

**დავის საგანი — კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემული საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ.**

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 8 ივნისს სარჩელით მომართა ნანული აბურჯანიამ მოპასუხე გრიგოლ პოლიკაშვილის მიმართ კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემული საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ.

მოსარჩელე ითხოვს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის (30,71 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ხოლო 10,90 კვ.მ. დამხმარე სათავსო) საკუთრების უფლებით გადაცემა ხსენებული ფართის საბაზრო ღირებულების 10 პროცენტის გადახდის სანაცვლოდ.

სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისში, ორხევის შესახვევი №10-ში მდებარე სახლის ის ფართი, რომელზეც მხარე ითხოვს საკუთრების უფლების მოპოვებას, ტექინვენტარიზაციის მონაცემების თანახმად, წარმოადგენს მოპასუხე გრიგოლ პოლიკაშვილის საკუთრებას.

სახლის ყოფილ მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1976 წელს გაფორმდა ხელშეკრულებები მოსარგებლის მიერ დღეისათვის დაკავებული ფართის ნასყიდობის თაობაზე, რომლითაც დგინდება, რომ მოსარგებლემ გადაიხადა 7000 მანეთი საცხოვრებელი სახლის ერთი ოთახის, შუშაბანდის, სამზარეულოსა და აბაზანა-ტუალეტის სანაცვლოდ, რაც სულ შეადგენდა 30,71 კვ.მ, ხოლო სარდაფი 10,90 კვ.მ-ს.

საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, მოსარჩელის მიერ დაკავებული ფართის საბაზრო ღირებულება სულ შეადგენს 34500 აშშ დოლარს, რომლის 10 პროცენტია 3450 აშშ დოლარი.

სასამართლომ განიხილა ნანული აბურჯანიას სარჩელი და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

მოპასუხეს სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ჩაბარდა საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სასამართლოს მიერ დანიშნულ 5 დღის ვადაში მოპასუხეს წერილობითი შესაგებელი სარჩელთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია და არც შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა რა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნია, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ნანული აბურჯანიას სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მის სასარჩელო მოთხოვნას კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემული საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ვინაიდან „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, თუ მხარეებს შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობაზე (სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე), მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 90 პროცენტის გადახდის შემთხვევაში. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10 პროცენტი) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა კომპენსაციის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების მოპოვების შესახებ საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი ბაჟი 1738 ლარის ოდენობით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 232[1]-ე, 234-237-ე მუხლებით და

**გადაწყვიტა:**

1. ნანული აბურჯანიას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. ნანული აბურჯანიას მიერ გრიგოლ პოლიკაშვილისათვის 3450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის შემდეგ მოხდეს გრიგოლ პოლიკაშვილის სახელზე რიცხული, თბილისში, ორხევის შესახვევი №10-ში მდებარე ნანული აბურჯანიას მიერ დღეისათვის რეალურად დაკავებული 41,61 კვ.მ ფართის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ნანული აბურჯანიას სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა;
3. გრიგოლ პოლიკაშვილს ნანული აბურჯანიას სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1738 ლარის ოდენობით;
4. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მოპასუხისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საჩივრის წარმოდგენით. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

**მოსამართლე სოფიო მაჭავარიანი**

# სპორტი

● საზეიმო ცერემონიას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. მისი ჩაშლა სცადეს ტიბეტიდან ჩამოსულმა ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ისინი პოლიციელებმა დააკავეს. ტიბეტელები მოითხოვდნენ ჩინეთის, როგორც ოლიმპიადის მასპინძლის, ბოიკოტირებას.



## ◎ ორბიტაზე

### ქურდი პრეზიდენტი

**ესპანურ ფეხბურთში დიდი სკანდალია. „ბეტისის“ ყოფილ პრეზიდენტსა და კლუბის წამყვან აქციონერს მანუელ რუის დე ლოპერას პროკურატურა ბრალად სდებს სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებასა და კლუბის ფულების გაფლანგვას.** პროკურატურის ცნობით, ექს-პრეზიდენტმა ამისთვის თავისი კომპანია „ენკადესა“ გამოიყენა. თუკი ლოპერას დამნაშავედ მიიჩნევენ, მაშინ მას ოთხ წლამდე პატიმრობა და დიდი ფულადი ჯარიმა მოელის.

ბოლო დროს „ბეტისის“ სახელს უკავშირებენ ბევრ საეჭვო მოვლენას. სულ ცოტა ხნის წინათ მას დამარცხება ჩაუთვალეს ბილბაოს



„ატლეტიკოსთან“ მატჩში, ვინაიდან კლუბის ერთ-ერთმა გულშემატკივარმა წყლით სავსე ბოთლი ესროლა მეტოქეთა მეკარეს და მას ტრავმა მიაყენა. ამ დროს ანგარიში იყო 2:1 „ატლეტიკოს“ სასარგებლოდ. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეს ანგარიში ძალაში დატოვა.

### კი არ იხდის, იცვამს

**ბოლო დროს წამყვანი სპორტული ბრენდების ახალი ჩაცმულობის პრეზენტაციები სულ უფრო მზარდი ხმაურით მიმდინარეობს, რადგან მასში მონაწილე ფეხბურთისმაისურიანი ლამაზმანები სულ უფრო აფორიაქებენ მამაკაცების წარმოდგენებს. ალბათ სწორედ ეს ამოძრავებდა ცნობილ იტალიელ ბიზნესმენს, „ფორმულა-1“-ის „დიდ კაცს“, ცნობილ მექალთანესა და ინგლისური კლუბის „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მფლობელ ფლავიო ბიატორეს, როდესაც ლეგენდარულ მუქკანიან ლამაზმან მოდელს ნაომი კემპბელს სთხოვა თავისი გუნდის იმ ახალი ფორმის პრეზენტაციაში მონაწილეობა, ცნობილმა ფრანგულმა ფირმამ რომ შეკერა.**

სწორედ დღეს ნაომი უნდა გამოეწყოს ფლავიოს კლუბის მაისურში და ისე გამოჩნდეს ჟურნალისტებსა და თაყვანისმცემლებთან. თუმცა ბევრს ეცადნენ, მაგრამ ბრიტანელმა ჟურნალისტებმა კემპელსა და ფლავიოს ამ ურთიერთობაში ფინანსური „საფანელი“ ვერ აღმოაჩინეს. ხოლო ისინი, ვინც კარგადაა გარკვეული ამ ორი „ვარსკვლავის“ ურთიერთობაში, აქ გასაკვირს ვერაფერს ხედავენ.



## ◎ სიტუაცია

# ოლიმპიური ცეცხლი აინთო

**ბერძნულ ნახევარკუნძულ პელოპონესზე, უძველეს ოლიმპიაში ტრადიციულად აინთო 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი.**

საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ საბერძნეთის პრეზიდენტი კაროლოს პაპულიასი, პრემიერ-მინისტრი კონსტანტინოს კარამანლისი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგე.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საზეიმო ცერემონიას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. მისი ჩაშლა სცადეს ტიბეტიდან ჩამოსულმა ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ისინი პოლიციელებმა დააკავეს. ტიბეტელები მოითხოვდნენ ჩინეთის, როგორც ოლიმპიადის მასპინძლის, ბოიკოტირებას.

ოლიმპიური ჩირაღდანი ჯერ საბერძნეთს შემოივლის, 30 მარტს კი თეთრმარმარილოვან სტადიონ „პანათინაიკოსზე“ ესტაფეტა გადაეცემა ოლიმპიადის ჩინელ ორგანიზატორებს, მას ისევ გრძელი გზა ექნება ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა კონტინენტზე, აგრეთვე მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე – ევერესტზე. 8 აგვისტოს კი პეკინში, ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე ჩავა.

## ◎ ანატოლი მილჩენკო – 70

**საიუბილეო 70 წელი შეუსრულდა ფიფას არბიტრს, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მსაჯს ანატოლ მილჩენკოს.**

დაიბადა 1938 წლის 26 მარტს, 1947 წელს შევიდა და 1957 წელს დაამთავრა ბორჯომის საშუალო სკოლა. 1957-60 წლებში, საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს, თამაშობდა თბილისის „ოდოს“ გუნდში, 1961 წელს მიიწვიეს სოხუმის „დინამოში“.

1964 წლიდან დაიწყო ანატოლის წარმატებული სამსაჯო კარიერა. 1966 წელს მიენიჭა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება. 1967 წელს კი საკავშირო კატეგორიის არბიტრი ხდება. 1967-1975 წლებში მან საკავშირო ჩემპიონატისა და საერთაშორისო შეჯიბრებების მრავალი მატჩი მაღალი პროფესიონალიზმით და მტკიცე ხასიათით იმსაჯა.

### მსაჯი

ბატონი ანატოლის სამსაჯო პრაქტიკიდან გამორჩეულია 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებ შორის. მილჩენკოს მოუწია არგენტინა-პოლონეთის მატჩის გაძღოლა. საინტერესოა, რომ მაშინ არგენტინის გუნდის შემადგენლობაში იყო შემდეგ უკვე ლეგენდად ქცეული დიეგო მარადონა. იმავე წელს მას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის მაღალი წოდება მიენიჭა. ამ რანგში 47 წლის ასაკამდე მან მრავალი მაღალი დონის მატჩი იმსაჯა, მათ შორის კი აღნიშვნის ღირსია 1985 წლის 16 ოქტომბერს ლონდონში – უემბლის სტადიონზე ინგლისისა და თურქეთის ნაკრებების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, რომლის ინსპექტორი იყო სერ სტენლი როუზი.

ანატოლი მილჩენკოს ეკუთვნის სსრკ ჩემპიონატების მთავარი მსაჯობის რეკორდი. ამ რანგში ჩატარებული აქვს 202 მატჩი, მას ეკუთვნის მეორე რეკორდიც – 376 შეხვედრის მსაჯობა საბჭოთა კავშირის, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატების და ოლიმპიური ნაკრებების დონეზე. სამსაჯო კარიერის 47 წლის ასაკში დამთავრების მიუხედავად ის 14-ჯერ იყო საბჭოთა კავშირის საუკეთესო მსაჯთა ათეულში.

ანატოლი მილჩენკოს აქვს დამთავრებული საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, სპეციალობით ინჟინერ-ტექნოლოგია. წარმატებული იყო ანატოლი მილჩენკოს საქმიანობა, როგორც აფხაზეთის სპორტკომიტეტის უფროსი სპეციალისტის და კიდევ უფრო ნაყოფიერი – მისი სამეურნეო საქმიანობა, როდესაც 1974-1991 წლებში იყო ტურისტული სასტუმრო კომპლექს „სოხუმის“ დირექტორი.



1992-93 წლებში ბატონი ანატოლი სოხუმის დამცველთა რიგებში იყო, იმ სოხუმის, რომელიც მას განსაკუთრებით უყვარს. ამ ქალაქში შექმნა მან შესანიშნავი ოჯახი ქალბატონ სულიკო ტყებუჩავასთან ერთად, აქ შეეძინათ მათ შვილები – ქალ-ვაჟი.

„მე საქართველოში დავიბადე და გავიზარდე, მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველები უკრაინელებს ლუკმა-პურს გვინაწილებდნენ, ამგვარ ხალხს არასდროს უგრძნობინებია ჩემთვის, რომ უკრაინელი ვარ. მეამაყება, რომ ქართველი უკრიანელი ვარ, ქართული ოჯახი მაქვს, სიძე და შვილიშვილი ქართველი მყავს“, – წერდა ბატონი ანატოლი ჩვენს გაზეთში (18.XI. 2003ძ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით 1999 წელს ის სათავეში ჩაუდგა ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს, რომელსაც ხელმძღვანელობდა 2005 წლამდე, ამ პერიოდში მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში (პირველი დსთ-შიძ შეიქმნა მსაჯთა აკადემია, რომლის რექტორიც თვითონ იყო 2006 წლამდე.

ამჟამად ბატონი ანატოლი საფეხბურთო კლუბ „ვიტ-ჯორჯიას“ სპორტული დირექტორია, ამასთან დაკავშირებით უნდა დიდი მადლობა ვუთხრათ ბატონ გურამ რუხაძეს, ამ გუნდის დამაარსებელს და პრეზიდენტს, შესანიშნავ პიროვნებას და ქართული ფეხბურთის მოამაგეს, რომელმაც ანატოლი გვერდზე დაიყენა, დააფასა მისი ცოდნა, გამოცდილება და შრომისმოყვარეობა. ბატონი ანატოლი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციისა გვეხმარება და სააპელაციო კომიტეტს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს.

ბატონო ანატოლი, 70 წელი საქმის მკეთებელი კაცისთვის ცოტა როდია, მაგრამ არც ისე ბევრია ისეთი ენერგიული კაცისთვის, როგორიც თქვენ ხართ, რომელიც სოხუმში ახალგაზრდული შემართებით, სულის მხნეობით უნდა დაბრუნდეთ და კიდევ მრავალი წელი სიყვარულით და სიკეთით იაროთ იმ ქალაქში, რომელიც თქვენთვის ისეთივე ტკბილი მოგონება და დიდი ტკივილია, როგორც ყველა თქვენი თანაქალაქელისათვის.

გილოცავთ, დიდხანს იცოცხლეთ, თქვენ ამის ღირსი ნამდვილად ხართ.

**მურად ანჯაფარიძე,**
**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.**

№ 56. ოთხშაბათი, 26 მარტი, 2008 წელი.

## ◎ ევრო – 2008

### წესრიგს ციდან დაიცავენ

**ციურიხი ჩემპიონატის მატჩების მიმღები ქალაქებიდან მესამეა, სადაც წესრიგის დასაცავად გამოიყენებენ კამერებით აღჭურვილ უპილოტო თვითმფრინავებს.** მათ შვეიცარიის არმია მოემსახურება, რომლის შეიარაღებაში 28 ასეთი ლაინერია. ჟენევისა და ავსტრიის ქალაქების ხელისუფლებმა უარი თქვეს ასეთი მფრინავი აპარატების გამოყენებაზე ჩემპიონატის დღეებში.

### აუღებელი ელექტრონული მეკარე

**ინსბრუკელმა მოსწავლეებმა, ევროპის ჩემპიონატისთვის რომ ემზადებიან, შექმნეს ელექტრონული მეკარე, რომელიც ზედიზედ ყველა ბურთს იჭერს. ამისთვის იყენებენ ლიანდაგებს, მუყაოსაგან გამოჭრილი მეკარის ფიგურასა და კომპიუტერთან შეერთებულ კამერას.**

თუკი ასეთი საიმედო მეკარე, ექსპერტების თვალსაზრისით, რომელიმე ნაკრების კარში იდგებოდა, ის ნამდვილად გახდებოდა კონტინენტის ჩემპიონი. კარის ელექტრონულმა დარაჯმა გამოცდის დროს გამოავლინა ფანტასტიკური რეაქცია და ერთხელაც არ შემცდარა.

## ◎ კადრი





◎ პერიოდიკა

# საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა

## „ლიტერატურა და ხელოვნება“ – თანამდევი სამშობლოს სევდით

**ყოველთვიური ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოდის სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით.**

ჟურნალის დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელია ცნობილი პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, მთავარი რედაქტორი – ტარიელ



ხარხელაური, პასუხისმგებელი რედაქტორი – ზურაბ თორია.

ჟურნალის მეორე და მესამე ნომერი, პოეზიისა და პროზის გარდა, სხვა საინტერესო მასალებსაც გვთავაზობს. ჟურნალს ამდიდრებს რუბრიკათა მრავალფეროვნება: „თარგმანი“, „წერილები“, „საუბრები ხელოვნებაზე“, „ფერწერული სასწაულები“, „ფილოსოფიური ხილვები“, „ფურცლის სამყაროდან“ „ფოტოარქივიდან“...

„ლიტერატურა და ხელოვნება“ №2 იხსნება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საშობაო ეპისტოლეთი.

„საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა! თითოეული ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ, იგი ჩემშია და მე მასში!“– ბრძანებს პატრიარქი.

სამშობლო ჟურნალის მთავარი თემაა. ზაზა ქინქლაძის წერილში „ილიასთან დუელი გრძელდება“ ვკითხულობთ: „ილიასთან დუელი დღესაც გრძელდება შინაური თუ გარეშე მტრებისგან! გრძელდება დაუნდობლად, ქვეხუდანურად, ათასგვარი ხრიკის გამოყენებით, რომ როგორმე მოუშალონ ქართველობას სამი დიადი მცნება: მამული, ენა, სარწმუნოება!“

სამშობლოს სევდა გიორგი მინდიკაურის, გიორგი გიგაურის, ამირან ხაბაზის, ირაკლი ფაღავას პოეზიის თანამდევია, „ამერიკა, რომელიც ჩემს ქვეყანას ამერიკული ნაგვის ნარჩენად გადააქცევს, ოზოზაა“, – წერს ირაკლი ფაღავა.

ჟურნალი გვთავაზობს გურამ დოჩანაშვილის რომანს – „რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება“. საინტერესოა ზვიად კვარაცხელიას, მაყვალა გონაშვილის, ხვიჩა ყალაბეგაშვილის პროზაული ნაწარმოებები.

რუბრიკით „მკვდრის მზე“ წარმოდგენილია უდროოდ გარდაცვლილი პოეტის ბეთქილ შამფრიანის ლექსები.

ჟურნალის მეორე და მესამე ნომერში მკითხველი გაეცნობა ბერჰარდ შლინკის რომანს „გოგონა ხვლიკით“, რომელიც გერმანულიდან თარგმნა ბელა სურგულაძემ.

„ლიტერატურა და ხელოვნებას“ არც თეატრი, მუსიკა და მხატვრობა რჩება უყურადღებოდ. რეზო ადამიას, ლალი ხოსიტაშვილის, მაცაცო ლო-




საბერიძის, სოსო სიგუას, კოტე ნინიკაშვილის, ქეთევან კინწურაშვილის და სხვა ავტორთა წერილები მრავალ საფიქრალს და განსასჯელს გვიტოვებს.

ჟურნალის მეორე და მესამე ნომრებს ზაქრო ფირცხელაურისა და ალექსანდრე (შურაძ ბანძელაძის ნახატები ამშვენებს.

ჟურნალის საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა ასეთია: ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანი ბრეგვაძე, მერაბ ბერძენიშვილი, პაატა ბურჭულაძე, მაყვალა გონაშვილი, ნათელა ურუშაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თემურ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი.

**ნატა ნიბლაძე**

◎ პედაგოგი

# ჩვენი მარია მასწავლებელი

**მაისის კრიალა დილაა. თბილისი-ოზურგეთის მატარებელი სადგურ ნატანებში გაჩერდა. უამრავი მგზავრი (ზოგი მუხლის გასამართავად ბაქანზე გამოეფინა.**

– მარია მასწავლებელო! – შეჰყვირა ულამაზესმა, მდიდრულად ჩაცმულმა ახალგაზრდა ქალმა, ხალხის ტალღა გაარღვია და „მარია მასწავლებელს“ გადაეხვია. „მასწავლებელი“ სახტად დარჩა და დაბნეულად გამოიყურება.

– ვერ მიცანი, მარია მასწავლებელო? ბელა ვარ, ბელა კილაძე!

და ისევ გაჩაღდა (ამჯერად ორმხრივიძ ხვევნა-კოცნა.

მარია მასწავლებელი – მარიამ იასონის ასული დარჩია, რომელიც ახლახან 93 წლის გახდა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ოზურგეთის რაიონის სოფელ სილაურის დაწყებითი კლასების მასწავლებელი გახლდათ. დაიბადა 1915 წელს. 1930 წელს ადგილობრივი კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლის დამთავრების შემდეგ დედამ ოზურგეთის პედაგოგიურ სასწავლებელში შეიყვანა, მაგრამ ორი დღის შემდეგ, როგორც საშუალო გლეხის შვილი, იქიდან გარიცხეს (მის მაგივრად დვაბზუელი ღარიბი გლეხის შვილი მიიღესძ.

მამას შეეცოდა გულმოკლული, თვალცრემლიანი შვილი და დასახმარებლად მიმართა საქართველოს განათლების კომისრის მოადგილეს, სილაურელ კაცს გაბრიელ გოგუაძეს (იგი შემდეგ, როგორც მარიამ ორახელაშვილის მოადგილე, მასთან ერთად დახვრიტესძ. მისი მეშვეობით მარიამი ქ. ბათუმის სამასწავლებლო სასწავლებელში ჩარიცხეს, მაგრამ, როდესაც მამამისი, როგორც ყოფილი მენშევიკი, დააპატიმრეს, ოჯახი მძიმე სიდუხჭირეში ჩავარდა და განათლებას მოწყურებული ქალიშვილი იძულებული გახდა მეორე კურსიდან სწავლა მიეტოვებინა.

შინ დაბრუნებული მარიამი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ კონსტანტინე გოგუაძემ სოფელში გახსნილი „მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლაში“ მასწავლებლად დანიშნა, რვა თვის შემდეგ სილაურის შვიდწლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლად გადაიყვანა.

ამის შემდეგ მარიამმა მოახერხა, სწავლა ოზურგეთის პედაგოგიურ სასწავლებელში გაეგრძელებინა (1934 წ.ძ. წარჩინებული სწავლისათვის სხვებთან ერთად მოსკოვსა და ლენინგრადში ექსკურსიაზე წაიყვანეს. 1938 წელს, ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ქალბატონი მარიამი სილაურის არასაშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელია, სადაც ნახევარი საუკუნე იმუშავა.

მარიამის მეუღლე ოლიფანტე ტულუშიც (1912-1987ძ მასწავლებელი გახლდათ. დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და ამ საგანს (წლების განმავლობაში გერმანულსაცძ ასწავლიდა. 1938-1941 წლებში სილაურის სკოლას ხელმძღვანელობდა. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. 1943-1951 წლებში სოფელ შრომის (ოზურგეთის რ-იძ საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ბრძანდებოდა.

მარია მასწავლებელი ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებითა და ენერგიულობით, ენამოსწრებულობითა და ხალისიანობით, რაც მთავარია, ახალგაზრდებისადმი გამოკვეთილი სიყვარულითა და თავდადებით.



ბელა კილაძეც ერთი მისი მოსწავლეთაგანი იყო. ბელას დედა ადრე გარდაიცვალა. მამამისი მირიან კილაძე მობილიზაციით თბილისში, მილიციაში სამუშაოდ გადმოიყვანეს (სადაც შემდეგ ახალი ოჯახი შექმნაძ. სოფელში ბელა და მისი სამი უფროსი ძმა ობლად დარჩა მოხუცი ბებიის ამარა. 30-იანი წლები ისედაც ყოველმხრივ უმძიმესი იყო მთელ საბჭოთა კავშირსა და საქართველოში და ოთხ ობოლსაც ძალიან გაუჭირდა. მარიამ მასწავლებელმა ბელა სოფლის მაღაზიაში მიიყვანა, თავისი დანაზოგი ფულით ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შეუძინა. მერე გამყიდველს ფული დაუტოვა, ბავშვისთვის ყოველდღე პური რომ მიეცა.

როდესაც მირიანი ფეხზე დადგა, შვილები თბილისში წამოიყვანა. ბელამ საჭირო განათლება მიიღო, შესანიშნავი ქალი დადგა და დოვლათიანი ბრწყინვალე ოჯახი შექმნა.

...და ის იყო, იმ დილით მოსწავლე და მასწავლებელი დიდი ხნის გაყრის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ. ბელა ბევრი ეხვეწა მარიამ მასწავლებელს, ოჯახში გაჰყოლოდა. მაგრამ ქ-ნ მარიამს შინ მიეჩქარებოდა და გულითად მიპატიჟებას ვერ დაეთანხმა. მაშინ ქ-ნმა ბელამ ხელიდან ოქროს საათი წაიძრო და მასწავლებელს გაუწოდა, გთხოვთ, ჩემგან სამახსოვროდ ატარეთო. უარი რომ მიიღო, განმარტა, ახალნაყიდია, მოსკოვიდან მოვდივარ და ეს საათები საჩუქრებად მომაქვსო (დასამტკიცებლად ჩემოდანი გახსნა და რამდენიმე საათი ამოიღოძ.

მარიამი, როგორც მასწავლებელი, საჩუქრებს ყოველთვის გაურბოდა. ეს ხასიათი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და... ამჯერადაც ასე მოიქცა!

ქ-ნი მარიამი უმწიკვლოდ მუშაობისა და გულითადი მეზობლობისთვის მთელ სოფელს უყვარდა. მთავრობამ კი დააჯილდოვა მედლებით: „შრომითი წარჩინებისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“. მინიჭებული აქვს „შრომის ვეტერანის“ წოდება.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ქალბატონი მარიამი თავს მხნედ გრძნობს, ოჯახში ახალგაზრდულად ტრიალებს, მეზობლებს კი ჭირსა და ლხინში ყოველთვის გვერდით უდგას. ხაროზს სამი ვაჟიშვილით, ექვსი შვილიშვილითა და სამი შვილთაშვილით. შვილთაშვილები კიდევ ბევრი ეყოლება (სამი შვილიშვილი ახალდაქორწინებულია, სამი – დასაქორწინებელიძ.

შარშან აგვისტოს ბოლოს, მარიამობამდე ორი დღით ადრე, 1955 წელს პირველ კლასში შესულთა ერთმა ჯგუფმა მარია მასწავლებელს მხურვალე, სიყვარულით სავსე შეხვედრა მოუწყო. ინიციატორი გახლდათ ჯულიეტა ხელაძე. სუფრაც მის ოჯახში გაიმართა. ქ-ნ ჯულიეტას გარდა მასპინძლობდნენ: ვახტანგ გოგუაძე, ზაირა, როლანდ და როინ დარჩიები, გაიოზ ლომაძე, ირა მეგრელიშვილი, ჟორა როყუა, რუსუდან ქილიფთარი და ნუნუ ჩხაიძე. როგორც ყოველთვის, ახლაც თამადობდა გამორჩეული მსმელი და სუფრის კაცი როლანდ დარჩია. აქვე ბრძანდებოდნენ მეზობლები ვანდა სირაძე და გიორგი დარჩია.

ამგვარი ღონისძიების ჩატარება, ოღონდ მთელი სოფლის მასშტაბით, განზრახული ჰქონდა გურამ ქილიფთარს. რადგან საქართველოში შექმნილი გაუსაძლისი ცხოვრების პირობების გამო იუბილის ასე ფართო აღნიშვნა ვერ მოხერხდა, სოფელს გადაწყვეტილი აქვს, მარია მასწავლებელს დაბადების მე-100 წლისთავზე შეხვდნენ (მარიამ მასწავლებელმა პირობა მოგვცა, არ გვიღალატებს და კვლავაც ყოჩაღად იქნებაძ.

მოწვეულ სტუმრებში ბრძანდებოდნენ: გელა უგრეხელიძე, გურამ ქილიფთარი და ამ სტრიქონების ავტორები. მასპინძლებმა დაპატიჟეს ასევე ამაგდარი პედაგოგი, ისიც დაწყებითი სკოლის მასწავლებელი თამარ მეგრელიშვილი. მას მანქანით შინ მივაკითხეთ, მაგრამ, ძალიან სუსტად ვარო, წამოსვლა ვერ შეძლო. თამარ მასწავლებელს ქ-ნმა ჯულიეტამ სამახსოვრო საჩუქრები მიართვა, მისი ვაჟი კი, ავთანდილ მეგრელიშვილი, მოვიტაცეთ და სუფრაზე წამოვიყვანეთ (სამწუხაროდ, რამდენიმე თვის შემდეგ, ახალწლის წინა დღეებში, თამარ მასწავლებელი გარდაიცვალა. 88 წლის შესრულებას სამიოდე თვე დააკლდაძ.

საიუბილეო პურობა დიდი მხიარულებითა და სიყვარულით ჩატარდა. მასწავლებელი და მოსწავლეები წარსულის გახსენებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. იმღერეს ის სიმღერებიც, რომლებსაც მარია მასწავლებელი მათ გაკვეთილებზე ასწავლიდა. იუბილარმა თავისი ახალგაზრდული შემართებითა და გონებასისხარტით ყველა გაგვაოცა. რის სკლეროზი, რა სკლეროზი, საუბრისას რის წაბორძიკება, იგი ძველებურად „სხლავდა“! ყველა მის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო და სამადლობელი სიბრძნითა და იუმორით... და, ასე გასინჯეთ, თავისებური დიპლომატიითაც გამოირჩეოდა.

მარიამ მასწავლებლის მშობლებმა დიდხანს იცოცხლეს. დედამ, ოლღა სალუქვაძემ, 98 წელს მიაღწია, იასონი კი 107 წლისა გარდაიცვალა. სუფრაზე ამაგდარ პედაგოგს ვუსურვეთ და კვლავაც იმედით გავიმეორებთ, სიცოცხლის ხანგრძლივობაში მას დედის კი არა, მამის რეკორდი მოეხსნას!

**ბორის დარჩია,**
**ზაურ ქილიფთარი.**

№ 56. ოთხშაბათი, 26 მარტი, 2008 წელი.

● უკვე არსებულის გათვალისწინებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ამჟამად დაწესებულია 34 სახელობითი პრემია. მათგანი სამი: პეტრე მელიქიშვილის, ნიკოლოზ მუსხელიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობისა – 5 ათასი ლარის ოდენობით, დანარჩენი 31 პრემია 3-3 ათასი ლარის ოდენობით



◎ აკადემია

# პრემიების რიცხვი გაორმაგდა



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მორიგ სხდომაზე (მკითხველს შევახსენებთ, რომ აკადემიური საბჭო პრეზიდიუმის სანაცვლო ახალი სტრუქტურაა) მოისმინეს საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის (მეცნიერების დარგში) ალექსანდრე ღონღაძის მოხსენება „საქართველოში სამეცნიერო პოლიტიკის შეფასება ეუთოს ექსპერტთა მიერ“.**

ეუთოელთა თვალით მონიშნული დადებითი მომენტებიდან გაგვაცნეს მეცნიერებისათვის სახელისუფლებო დაფინანსების გაზრდა, საგრანტო სისტემაზე აქტიური გადასვლა, უცხოეთთან კონტაქტების გაფართოება, იმპაქტ-ფაქტორში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობის მატება... საზღვარგარეთელი ექსპერტები თურმე გვირჩევენ მეცნიერების განვითარების კონცეფციის გამოკვეთას, გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებას, დამფინანსებელთა და კვლევით ინსტიტუტებს შორის სუსტი კავშირის განმტკიცებას, გრანტების მეტ გამჭვირვალობას და სხვა.

დამსწრეთ ეუწყა, რომ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით განზრახულია არაერთი ღონისძიების გატარება: აპრილში დაგეგმილია მეცნიერთა და ბიზნესმენთა შეხვედრა; ფიქრობენ მეცნიერების მენეჯერთა ასოციაციის შექმნაზე, უფასო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ორგანიზებაზე და ასე შემდეგ.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საგულისყურო იქნება საამაკადემიო სახელობით პრემიებთან დაკავშირებული სიახლეები, რაც სხდომაზე გაახმიანა აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ.

არსებულ 17 სახელობით პრემიას წლევანდელი წლიდან დაემატება შემდეგი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია (საქართველოს ისტორიის, ფილოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგებში); გიორგი ჩუბინიშვილისა (ხელოვნებათმცოდნეობა); გიორგი ახვლედიანისა (ზოგადი და ინდოევროპული ენათმეცნიერება); აკაკი შანიძისა (ქართული ენა და ფილოლოგია); ზაზა ფანასკერტელისა (მედიცინა); ალექსანდრე ნათიშვილისა (ადამიანის ანატომია, მორფოლოგია, ფიზიოლოგია და პათოლოგია); გრიგოლ მუხაძისა (ქირურგია); ნიკო კეცხოველისა (ბოტანიკა); ვარლამ თოფურიასი (ენათმეცნიერება, ქართველური ენები); ფილიპე გოგიჩაიშვილისა (ეკონომიკა და ფილოსოფია); შალვა ნუცუბიძისა (ფილოსოფია); დიმიტრი არაყიშვილისა (ქართული მუსიკა და მუსიკათმცოდნეობა); კონსტანტინე გამსახურდიასი (ქართული მწერლობა); კირიაკ ზავრიევისა (სამშენებლო მექანიკა); სიმონ ყაუხჩიშვილისა (კლასიკური ფილოლოგია); გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძისა (ქართული ეთნოლოგია); ნიკო ბერძენიშვილისა (საქართველოს ისტორია).

უკვე არსებულის გათვალისწინებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ამჟამად დაწესებულია 34 სახელობითი პრემია. მათგანი სამი: პეტრე მელიქიშვილის, ნიკოლოზ მუსხელიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობისა – 5 ათასი ლარის ოდენობით, დანარჩენი 31 პრემია 3-3 ათასი ლარის ოდენობით. ყოველი პრემია რიგითობის დაცვით გაიცემა 3-4 წელიწადში ერთხელ; ყოველწლიურად ჯილდოების ოდენობა იქნება 10 – ერთი ხუთიათასლარიანი და ცხრა – სამიათასლარიანი (ამრიგად, აკადემიის ყოველწლიური საპრემიო ფონდს უკვე 32 ათასი ლარი შეადგენს).

... პრემიების რაოდენობის ზრდა ზოგჯერ მათს გაუფასურებას მოასწავებს ხოლმე, მაგრამ ჩვენ მიერ მოყვანილ სიაში ისეთი ღირსეული სახელებია, რომ საააკადემიო ჯილდოებს გაფერმკრთალება ნამდვილად არ ემუქრება...

**ლუკა გორგოძე**

ხსოვნა

# გოგიტა ძაგნიძე



ცრემლიანად და ტკივილიანად ვიხსენებ ჩემს ულამაზეს ძმას – გოგიტა ძაგნიძეს.

ერთი წელი შესრულდა, რაც აღარ გვყავს ჩვენი გოგიტა. ძალიან გვიჭირს უშენოდ ყოფნა ამ ქვეყანაზე. ეს შენი კარგი ადამიანობის დამსახურებაა. შენ იყავი უზომოდ კეთილი, გაჭირვებისა და დალხინების დროს ყველასათვის ულალატო, დამხმარე. შენთვის ყველაზე დიდ ფასეულობას ადამიანი წარმოადგენდა. სხვისთვის გესიამოვნებინა, სხვას დახმარებოდი, ეს იყო შენთვის უდიდესი სიხარული. გიყვარდა ადამიანებთან შეხვედრა, უზომოდ გიყვარდა სიმღერა, გიყვარდა სიცოცხლე, რადგან გრძნობდი, რომ ყველა ადამიანს უყვარდი.

ვერ გაიმარჯვე სიკვდილთან ბრძოლაში, მაგრამ გვჯერა სიკეთის მატარებელი, როგორიც შენ იყავი, ღმერთის სამყოფელში გამარჯვებული იქნები. ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით იცხოვრე, არდავიწყება გაქვს დამკვიდრებული.

იძინე მშვიდად შენს მყუდროსა და მუდმივ სამყოფელში, შენს ლამაზ მეუღლესთან – მაღონასთან ერთად.

შენი დაიკო – ლუიზა ძაგნიძე-ნუცუბიძე
2008 წ.23 მარტი.

2008 წლის 17 აპრილს დღის 11.00 საათზე შედგება სს „ყვარლის“ აუქციონერთა საერთო კრება

დღის წესრიგი:
1. 2007 წლის წლიური შედეგების განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხები.
**მისამართი:** ქ. ყვარელი ჭავჭავაძის №72.

სს „ყვარელის“ ადმინისტრაცია

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

№ 56. ოთხშაბათი, 26 მარტი, 2008 წელი.

◎ დაიჯესტი

## აკადემიური მოდა



**ლონდონში მოდის აკადემია გაიხსნა, რომელიც ნიუჯემსის კოლეჯთან ფუნქციონირებს და მრავალფეროვან კურსებს სთავაზობს მსმენელებს თანამედროვე მსოფლიო მოდის სხვადასხვა ასპექტის შესახებ.** ნიუჯემსის მოდის აკადემია ბრიტანეთის ტერიტორიაზე ამ სახეობის პირველი სასწავლებელია. ადგილობრივი პრესის ცნობით, წლის განმავლობაში იქ ადგილობრივ დიზაინერთა მთელი რიგი ჩვენება გაიმართება.

## სამენოვანი სიტყვარი

**დაისტამბა შემოკლებათა სამენოვანი ინგლისურ-სომხურ-რუსული სიტყვარი. მასში 1400 აბრევიატურა, 230 საერთაშორისო ორგანიზაციისა და 200 გეოგრაფიული სახელწოდებაა შეტანილი.** წიგნი პოლიტოლოგებისთვისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტებისთვის, ასევე მთარგმნელებისთვის, სამართალმცოდნეებისთვის, ჟურნალისტებისთვის, სტუდენტებისა და უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგებისთვისაა განკუთვნილი.

## პნევმონიას ებრძვიან

**ახალი გამოკვლევით დადგინდა, რომ პნევმონიის მძიმე ფორმით დაავადებულ ბავშვთა საოჯახო პირობებში მკურნალობა ისეთივე ეფექტიანია, როგორც საავადმყოფოში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ეს ცნობა განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ პნევმონია მთელ მსოფლიოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მთავარი მიზეზია.**

გამოკვლევა პაკისტანში ბოსტონის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს. ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო პნევმონიის მძიმე ფორმით დაავადებულმა ორ ათასმა ბავშვმა, რომელთაგან ერთ ნაწილს ანტიბიოტიკების ინექციებს საავადმყოფოში უკეთებდნენ, მეორეს კი აბებს ოჯახის პირობებში ასმევდნენ. მიღებული მონაცემები ცხადჰყოფს, რომ ოჯახის პირობებში მკურნალობა ისეთივე უსაფრთხოა, როგორც საავადმყოფოში.

## მკვდარი გული გააცოცხლეს

**მკვადრი გულის ამუშავება შეძლეს მინესოტას შტატის სამედიცინო ცენტრის მეცნიერებმა. მიღებული ცნობით, ცდა ვირთაგვის გულზე ჩატარდა.** მეცნიერებმა ცხოველის გულიდან ყველა კუნთის უჯრედი ამოიღეს და მხოლოდ სისხლძარღვები და სარქველები დატოვეს. მკვდარი კუნთის უჯრედების ადგილზე სასვეტე უჯრედები ჩასვეს და მათი ზრდის სტიმულირება მოახდინეს, რის შედეგად მოხდა ამ ქსოვილების სრული განახლება და გულმა კვლავ დაიწყო ფეთქვა, განაცხადა სამუშაოს ხელმძღვანელმა პროფესორმა დორის ტეილორმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ ტექნოლოგიის წყალობით შესაძლებელი გახდება გულის დონორთა არასაკმარისი ოდენობის პრობლემის გადაჭრა.

## წარმატება „სახეზე“ აწერია

**ნებისმიერი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმაოდ ზუსტად გარკვევა მის ხელმძღვანელთა იერით შეიძლება. წარმატება, უწინარესედ, ხელმძღვანელის სახეზე აღიბეჭდება, რომელიც წარმატებული კომპანიების დირექტორებისა და პრეზიდენტების გარეგნობაში აისახება – ისინი უფრო კომპეტენტურნი, ძლიერნი და ნდობის ღირსნი ჩანან, ვიდრე მათი შედარებით წარუმატებელი ვიზავები.**

ეს დასკვნა მედფორტში ტაფტსის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოიტანეს, რომლებმაც სტუდენტთა ჯგუფს 50 ამერიკული კომპანიის ხელმძღვანელის ფოტოსურათი აჩვენეს ისე, რომ მათი ვინაობა არ გაუმხელიათ. უფროსის სახესა და კომპანიის წარმატებას შორის კორელაცია სწორედ ამ გზით გამოიყვანეს.

## ფრინველები „კარგად იმალებიან“

**ადრე გადაშენებულად მიჩნეული ფრინველი მოა სინამდვილეში დღესაც არსებობს და ახალი ზელანდიის მიუვალ რაიონებში ბინადრობს, აცხადებს ავსტრალიელი ნატურალისტი რექს გილროი. იგი დარწმუნებულია, რომ ეროვნული ნაკრძალის ურევერას ტერიტორიაზე მალე მიაგნებს ბუჩქის მცირე მოას კოლონიას.**



მიაჩნიათ, რომ მოა, სირაქლემათა რაზმის გიგანტური ფრინველები, რომლებიც მხოლოდ ახალი ზელანდიის ტერიტორიაზე ბინადრობდნენ, ხალხმა მაორიმ დაახლოებით 500 წლის წინათ გაანადგურა. გილროიმ, რომელიც გადაშენებულ ცხოველთა ზოოლოგიას სწავლობს, აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინათ 35 ფრინველის ნაკვალევს მიაგნო, რის საფუძველზეც ვარაუდობს, რომ კოლონიაში 15 ფრინველია.

**უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

# ბოლო გვერდი

● ზნაურის რაიონის სოფელ ოქონაში 23 მარტს მომხდარი აფეთქების შედეგად დაჭრილი ინალ კოლიევი და ვლადისლავ დოგუზოვი ვლადიკავკაზის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამის შესახებ ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დე ფაქტო სახელმწიფო კომიტეტი იუწყება



## ◉ ფოტოფაქტი



## დაგლეჯილი მოაჯირი

**თბილისის ცენტრალური რკინიგზის სადგურის უკანა მხარეს, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, რამდენიმე წელიწადია ავტოსადგური მოქმედებს, რომელიც, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსებს ემსახურება.**

აქ მუდამ ბევრი მგზავრი ირევა... ავტოსადგურის მოედანს ერთი მხრიდან რკინის მოაჯირი მიუყვება, რომელიც მგზავრს, მძღოლებს და განსაკუთრებით ბავშვებს „ხევში" – რკინიგზებისკენ გადავარდნისგან იცავს... არადა, აქ რომ ვინმე გადავარდეს, სული არ დაჰყვება ძირს!... მოაჯირი კარგა ხანია სანახევროდ დაგლეჯილია, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებს კი, თითქოს არც გაუვლიათ აქ!

სანამ უბედურება არ მომხდარა, აღადგინეთ მოაჯირი!

**ელგუჯა ნადარეიშვილი**
**ავტორის ფოტო.**

## ◉ ჯარიმა

## თურქებმა გადაიხადეს და გათავისუფლდნენ

**თურქულმა სეინერმა „აგუნ ბალიკ ჩილიკ 3" ჯარიმა 110 920 ლარი გადაიხადა და მას თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.**

შეგახსენებთ, სანაპირო დაცვის ბათუმის მესაზღვრეებმა თურქული სეინერი 19 მარტს ჩაქვის საზღვაო რაიონში თევზჭერის წესების დარღვევის ფაქტზე დააკავეს.

24 მარტს ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ სეინერს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად თევზჭერის წესების დარღვევის გამო 50 000 ლარისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანისათვის 60 920 ლარის გადახდა დააკისრა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◉ ალიან-ჩალიანი

## უფლისციხე წყლის ტყვეობაში მოექცა

**ტემპერატურის მომატებამ მთაში თოვლის დნობა გამოიწვია, რასაც შიდა ქართლში მდინარეების ადიდება მოყვა.**

**მოსახლეობას გასულ წლებში საფრთხეს მდინარეები მტკვარი, ლიახვი და მეჯუდა ერთდროულად უქმნიდა.**

ამ დროისთვის კი, ჯერჯერობით მდინარე ლიახვი წარმოადგენს საფრთხეს, ყველაზე უფრო საშიშად სამი წერტილი ითვლება.

გორში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე ლიახვმა გასულ წლებში მიწის გარკვეული ფართობი მიიტაცა და ამჟამადაც, სერიოზული საფრთხე უკვე შეიქმნა.

გარდა ამისა, საშიშროებაა სოფელ ორთაშენში, სადაც მდინარე ლიახვზე სასმელი წყლის მაგისტრალი გადის, და სოფელ უფლისციხეში, სადაც ძეგლში ასასვლელი გვირაბი მთლიანად მდინარის ტალღებშია მოქცეული.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თურქულ კომპანიასთან ხელშეკრულება გააფორმა და ამ სამუშაოს აღნიშნული კომპანია შეასრულებს.

ნაპირსამაგრი სამუშაოები უკვე დაიწყო, პირველ ეტაპზე, გორში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე ლიახვის ნაპირსამაგრი სამუშაოები შესრულდება.



გარდა ამისა, ტემპერატურის მატებამ ქართულ ოსური კონფლიქტის ზონაში მცირე ზომის მეწყერებიც გამოიწვია. დიდი და პატარა ლიახვის ხეობის დამაკავშირებელ შემოვლით გზაზე რამდენიმე მეწყერი ჩამოწვა, რამაც მოძრაობა შეაფერხა.

## ხელშეწყობა – სმენადაქვეითებულებს

**ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ სმენადაქვეითებულ მოსახლეობას სმენის აპარატები გადაეცათ.**

კონფლიქტის ზონის სოფელ ქურთაში, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს ხელმძღვანელი ვახტანგ სურგულაძე და საქართველოს ყრუთა კავშირის თავმჯდომარის თანაშემწე მაია მეტონიძე ჩავიდნენ, სადაც 26 სმენის აპარატი ჩაიტანეს.

როგორც ყრუთა კავშირის წარმომადგენელმა მაია მეტონიძემ განაცხადა, სმენის აპარატები ქართულ სოფლებში სმენადაქვეითებული მაცხოვრებლების გარდა, ცხინვალში მცხოვრებ ადამიანებსაც გადაეცათ.

მეტონიძის თქმით, გასული წლის სექტემბერში კონფლიქტის ზონაში შვედეთის სმენადაქვეითებულთა ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობის გამოკვლევა ჩატარდა. შვედეთის წარმომადგენლებმა მიღებული მონაცემების გათვალისწინებით, სმენის აპარატები საქართველოში გამოაგზავნეს და უკვე სმენადაქვეითებულებს გადასცეს.

მისივე თქმით, უახლოეს პერიოდში ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სააგენტო ინვალიდების ინვენტარის შესყიდვებისთვის ტენდერს გამოაცხადებს, რაც საქართველოს რეგიონებში დარიგდება.

სმენადაქვეითებულთა აქციას სამხრეთ ოსეთის ჯანდაცვის მინისტრი თამაზ ბესტაევიც დაესწრო.

## დაჭრილები ვლადიკავკაზში გადაიყვანეს

**ზნაურის რაიონის სოფელ ოქონაში 23 მარტს მომხდარი აფეთქების შედეგად დაჭრილი ინალ კოლიევი და ვლადისლავ დოგუზოვი ვლადიკავკაზის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამის შესახებ ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დე ფაქტო სახელმწიფო კომიტეტი იუწყება.**

ცხინვალის საავადმყოფოს მთავარი ექიმის ნოდარ კოკოევის განცხადებით, პაციენტების ტრანსპორტირება უკვე შესაძლებელი იყო და ისინი კვალიფიციური მედპერსონალის თანხლებით ვლადიკავკაზში გაამგზავრეს. კოკოევის თქმით, ვლადიკავკაზის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში დაჭრილებს უფრო მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ.

ამ დროისთვის დაჭრილების მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ინალ კოლიევს ორივე ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა, მას ასევე მთლიანად დაზიანებული აქვს ერთი თვალი და ნამსხვრევებით მიყენებული მრავალი ჭრილობა აღენიშნება. დოგუზოვს კი მრავალი დამწვრობითი ჭრილობა აქვს და ფეხებზე რამდენიმე თითის ამპუტაცია ჩაუტარდა, – განაცხადა ნოდარ კოკოევმა.

**ინტერპრესნიუსი**


**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.


## ◉ კადრი



## ◉ ანეკდოტები

**რუსული ენის გაკვეთილი ქართულ სკოლაში.**

– ბავშვებო, რუსული ენა ძალზე ძნელი ენაა! მაგალითად, „Настиа" ქალიშვილია, „Не настя" – კი – ცუდი ამინდი!



* * *

**ცირკში:**

– ახლა კი ნომერი ნამდვილი მამაკაცებისთვის – 9-91-00-13-77 – იკითხეთ ნინა.

* * *

**ღუმელი დიდი სითბოთი იხსენებს ბურატინოს.**

* * *

– მან ქალს გემო მხოლოდ ოცდაათი წლისამ გაუსინჯა.

– იქამდე?

– იქამდე მხოლოდ მამაკაცები იყვნენ.

– რა, ის ცისფერია?

– არა, კაციჭამია.

* * *

**ამონაწერი პასპორტიდან:**

– ოჯახური მდგომარეობა – აუტანელი!


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.